

საბავშვო საზოგადოებრივი სამუშაო



„პიონიერი“

რედაქციის გამგეობიდან ახალ ბინაზე:

ბვილისი, რუსთველის გამაზირი, № 22

(საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის ყოფილი უნოზა)

ყოველგვარი მიწერ-მოწერა,
რომელის შუკნალის საკითხებ-
თან არის დაკავშირებული, ამ
მისამართით უნდა იქნას
წაკმოებული

ზინაარსი:

1. ძია ვაგნერი — ს. კამარელის	2	6. ჩვენი მეზობელი საბელმწიფოები — აღ. გორგაძის	17
2. მტკვარი უღელში — ზ. ღარჩიახი	8	7. ჩვენი ცხოვრება და ბუშაობა	18
3. წითელ მოსკოვში — კ. ფ.	12	8. მალაროში — შ. ტრიფონიძის	19
4. რა სთავა კომკავშირის მე-IX ყრილობამ პიონერ- თა მუშაობის შესახებ — კ. ზ.	15	9. როგორ უნდა ვიმუშაოთ	21
5. გაეუწიოთ მფარველობა ფრინველებს — ა. ახტა- შევასი	16	10. რადიო	23
		11. ჭადრაკი	24



პიონერი


1928

10 აპრილი

განათლების სახალხო უმისართის სოციალური აღზრდის მთავარმა-
თელის და საქართველოს შ. პ. თ. ცენტრალური მიერთს (საქ. ა. ლ.
კომპარტიის ცენტრალური) შერჩეული მკვლევართვის

წელიწადი III

№ 7



პიონერები აწყობენ ლენინის კუთხეს.



1. გაფიცვა.

1923 წელს გერმანიის ერთ-ერთ დიდ ქალაქში—ჰამბურგში—მუშებმა აჯანყების დროსა დაფრიალეს; აჯანყება პოლიციელებმა და მთავრობის ჯარებმა საშინელი სისასტიკით ჩააქრეს.

მიუხედავად ამისა, შემდეგ ხანებში მუშათა გაფიცვები მთელ გერმანიას მოედო.

ბერლინში დიდ მოედნებზე ძველებურ დღეობასავით გროვდებოდნენ მოქალაქენი. იმართებოდა მიტინგები.

მუშათა უბნებში უმუშევრობა და სიმშლილი სუფევდა.

ვილჰელმის ქუჩის ერთ კუთხეში უზარმაზარი სტამბა იყო გამართული.

აქ მთელი წლების განმავლობაში მუშაობდა მოხუცი კარლოს შუმახერი.

საერთო გაფიცვის დროს სტამბის მუშებიც გააფიცენ.

სტამბის ეზოში შესავალ კარებთან პოლიციელები იდგნენ და თეთრი ნიშნებით მორთულ შავ კარებში ამაყად გადი-გამოდიოდნენ ყვითელფარაჯიანი ფაშისტები. მათ ახლოს ჯგუფ-ჯგუფად მიმოდოდნენ გაბრაზებული მუშები, რომელთაც თვალწინ უდგებოდათ მათი ცივი და ბნელი ოთახები, მძივრი ცოლი და ბავშვები.

ერთი კვირის შემდეგ სტამბის მმართველი ობერ-მეიერი დათანხმდა მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დაწყებაზე.

ის მხიარულ გუნებაზე იყო.

ობერ-მეიერს აბრეშუმის ზოლიანი ცისფერი კოსტიუმი ეცვა. მუშებმაც აბრეშუმის ყელსახვევი ჰქონდა და სახელ-ობებში მწვანეზოლიანი საკინძებით დაბნეული სამაჯურები უჩანდა. შემოდგომის მზეს

ფანჯრიდან თავისი სხივები ობერ-მეიერის ოთახში თაიგულის ძნასავით ჩამოეფინა.

— შემობრძანდით!.—დაიძახა ობერ-მეიერმა და მარცხენა ხელი თავის რბილ სავარძელზე ჩამოაღწია. შემოვიდა მუშების დელეგაცია.

მოხუცი კარლოსიც მათთან იყო.


ის თავის ტკივილით ფეხზე ძლივს დგებოდა. მისი მოხუცებულობისაგან გაყვითლებული და დამქანარი ლოყები წვერს დაეფარა, რომელიც, მიუხედავად სიფაქიზისა, მას ერთი კვირის განმავლობაში არ მოეპარსა. მიუხედავად ამისა, მას ამ დღისათვის განსაკუთრებული ყელსახვევი გაეკეთებია და საკვირაო კოსტიუმი ჩაეცვა.

ობერ-მეიერმა მუშების დელეგატებს დამცინავი სახით შეხედა.

— მე ვფიქრობდი, მეგობრებო,—სთქვა მან ცბიერი ღიმილით,—რომ თქვენ მოსალაპარაკებლად გუშინ მოხვიდოდით; გუშინ მე კიდევ მქონდა, ან, უკეთ, შეიძლება მქონოდა ნიადაგი თქვენთან ლაპარაკის, მაგრამ დღეს კი, სამწუხაროდ, ყველაფერი გათავებულია: ჩვენ ვნახეთ მუშები, რომლებიც დღეს სალამოს რვა საათიდან დადგებიან ასოების ყუთებთან და მუშაობას შეუდგებიან. მე თქვენ გაფრთხილებდით, რომ გაფიცვა ჩვენი ქვეყნის ასეთ სამძიმო პირობებში თქვენთვის კარგ შედეგს არ მოიტანდა.

— ამით რა გინდათ სთქვამთ?—სთქვა მოხუცმა კარლოსმა.—თქვენი სიტყვები ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ სტამბის პატრონებმა არ წავლენ ნაწილობრივ დათმობაზე...

— თქვენ ვერ გაიგეთ, მეგობარო, სტამბის პატრონები არამც თუ დათმობაზე არ წავლენ, სამუ-



შაოზედაც არ დააბრუნებენ გაფიცულ მუშებს, გარდა ოცდახუთი პროცენტისა და დააბრუნებენ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც უფრო სანდონი არიან ჩვენთვის. თქვენ არ მოხვდებით ამ ოცდახუთ პროცენტში, მოხუცო შუმახერო. მე გაძლევთ ამის გარანტიას. რა ჰქნან დანარჩენებმა? — ქუჩაზე დარჩებიან, დიად, ქუჩაზე დარჩებიან სიმშილში და სიღატაკეში, რადგან ასე ისურვეს. გერმანიის ცაზე შავი ღრუბელი ჩნდება, ჩვენი მეურნეობა დაცემულია. ჩვენ გავნადგურდით. ფრანგებმა რეინი წაგვართვეს, პოლონეთი დანას ლესავს ჩვენს ზურგში ჩასაცემად. ქვეყანა ყრუა. ჩვენ მარტო ვართ. ასეთ დღეებში, როცა ჩვენი სამშობლო მოგვიწოდებს მუშაობისკენ, თქვენ სწყვეტთ მუშაობას, როგორც ბავში,

რომელსაც ტკბილ ფაფას ართმევენ, ან ბოროტმოქმედნი, რომელნიც გაგიყვებული რუსეთის ქადაგებამ შეშალა. თქვენ მუდამ რუსეთის იმედი გაქვთ და შევლას საბჭოთა კავშირიდან მოვლით. მერე ვის? თქვენ — გერმანელებს, რომლებსთვისაც ძლიერ სამშობლოზე უსაყვარლესი და წმინდა-წმინდა არაფერი არ იყო... თუმცა აქ მიტინგი არ არის, მე ყველაფერი მოვახსენეთ. ხვალ კანტორაში დილის ცხრა საათზე გავისწორებენ ანგარიშს და გეტყვიან, თუ ვინ არის დათხოვნილი და ვინ დავტოვეთ წარმოებაში მომავალ პირველ გაფიცვამდე. მშვილობით, მეგობრებო, ნახვამდე!

მოხუც კარლოს ობერ-მეიერის ლაპარაკზე მუხლები აუკანკალდა.



წითელირმიელი უკითხავს პიონერებს სამხედრო ხასიათის წიგნს.

მან ფეხი წინ წადგა და სთქვა:

— მე მესმის, რომ აქ მიტინგი არ არის და არც შესაფერი ადგილია იმის ასახსნელად, თუ რა უფრო სჭირდებათ გერმანელ მუშებს: თქვენი — გერმანელი მწარმოებლების — მეგობრობა და სამსახური, თუ საბჭოთა კავშირი. მაგრამ იცით თუ არა თქვენ, უგულო ადამიანო, რომ მე და მთელი ჩემი ოჯახი, მოხუცი მეუღლე პარასკევს აქეთ მშვიდობა ვართ? ობერ-მეიერი სავარყელზე არხეინად იჯდა და დიდი საწერი მაგიდის ყუთს აღებდა.

მას თითქოს არც კი ესმოდა მოხუცის სიტყვები. ყუთიდან ობერ-მეიერმა ჰამგურგის სიგარა ამოიღო. აიღო დანა და ბანდეროლი შეაჭრა, დამწვინებით გახსნა და კვამლში გაეხვია.

— იცით, რომ...

— არაფერიც არ ვიცი, — სთქვა განრისხებით ობერ-მეიერმა: — სტამბა ლარიბების და დავრდომილთა თავშესაფარი არ არის და, მით უმეტეს, არც უსაქმოთა შეილები სახლია; სამსახური გინდათ? ბირჟაში მოძებნეთ. ნახვამდე, ბატონო შუმახერო. მოხუცი გაყვიტლდა. აიშალა. აუცახცახდა ხელები, სახე, სხეული, ბაგე შეკუმშა, ცალი ხელი მარცხნივ გააქანა... და უცებ ობერ-მეიერის თავზე გაათრებული მოხუცის ხელმარჯვედ მოქნიული სკამი დაეშვა.

მოხუცი კარლოსი შინ აღარ დაბრუნებულა. ქარხნის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ პოლიციას გამოუძახა.



ის დაიჭირეს და მოაბიტის ციხეში გაგზავნეს. საღამოს ბერლინის ქუჩები კვლავ ელექტრონით იყო გაჩირაღებული და ხალხით გაკედლილი, იქ მხიარული ბაასი, ლაყობა და უზრუნველ მოქალაქეთა სიცილი-ხარხარი ისმოდა. მაღალი სახურავების ზევით ბნელს სივრცეებში გველივით იკლავნებოდნენ ელექტროს ასოებით ბრწყინვალე განცხადებები, რომელნიც მოუწოდებდნენ მოქალაქეთ ეყიდათ საუკეთესო შოკოლადი „საროტის“ ქარხნისა, მოეწიათ მთელ ქვეყანაზე განთქმული სიგარები „ვენესტის“ ფირმისა და შეეძინათ ყველაზე უფრო ხელსაყრელი ოთახის მოძრავი ღუმელები, რომლის ყიდვა მხოლოდ ბრუნო რიჰარდის საწყობში შეიძლებოდა.

დაპატიმრებული კარლოს შუმახერის ავადმყოფი ცოლი ამოდ ელოდა თავის შეუღლებს და დიდხანს უშედეგოდ გაჰყურებდა თავისი ცივი ოთახის უშუშებგატეხილ კარებს. შუალამე გადასული იყო. უცებ კარები გაიღო, და ოთახში შუმახერის უფროსი ვაჟი ფრიცი შემოვიდა.

მისი თვალები ნადირზე თავდასახმელად გამზადებული მგლის თვალებით ელვარებდა.

— დაიჭირეს, მამა დაიჭირეს.

— როგორ, რას ამბობ? — შეჰყვირა დედამ და სხეული აუცახცახდა.

— ობერ-მეიერს სკამი დაარტყა! მოჰკლა! თავი გაუბო! მუშებში ყველგან იმაზე ლაპარაკობენ. სუყველს ჯავრი ამოიყარა!... როგორ გაუჩივრე! ხა... ხა... ხა!..

დაიძახა ფრიცმა და დამცინავი ხარხარი დაიწყო. გათენდა.

ფრიცის ავადმყოფი დედა, უშეშობით გაყინულ ოთახში დახეულ საბნის ნაფლეთებში გამოხვეული და გამხმარ ტოტივით მოხრილი, ლოგინში იწვა და ქვითინებდა. მას მთელი ღამე არ სძინებია. მის თავში ათასგვარი ფიქრი ირეოდა. თვითონ ავადმყოფი... პატარა ბავშვები...

ყველამ იცის, რომ დათხოვნილ ვაფიცულებს ფული არა აქვთ. არ ენდობიან არც ფურნეში, არც საძებვოში. შიმშილი... სიცივე... თვითონ დავრდომილი... მოკვდეს — არ ინაღვლებს, მაგრამ ბავშვები? ბავშვები?..

როცა დედა ამ ფიქრებში იყო, ფრიცი ლოგინიდან წამოდგა, ხელიდ ტანი ჩაიცვა, ქული დაიხურა, შემდეგ რაღაც წითელ ქალაღში გახვეული ნაბეჭდი ფურცლები იღლიაში ამოიღვა და ქუჩისაკენ გაემართა.

მალე ფრანცი და მათილდაც წამოდგნენ. ორივეს სისუსტე ემჩნეოდათ. შიოდათ. მათ იცოდნენ, რომ დედა საჭმელს ვეღარ მიაწოდებდა. ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და ქუჩაზე გამოვიდნენ.

მზიანი დღე იყო. ქუჩაში ქარი ბერავდა.

მატილდამ პატარა ფრანცს უთხრა:

— რა კარგია რძიანი ყავა! როდესაც მე გავიზრდები, მუშაობას დავიწყებ, ფულს ავიღებ, ვიყიდი ყავის, ნამცხვარს, ტკბილეულობას; მექნება შემწვარი ხორცი და კართოფილი, ბევრი კართოფილი.

— კართოფილი ძია ვაგნერსაც ბევრი აქვს, — უბასუხა ფრანცმა.

— ძია ვაგნერმა მეც მაჭამა კართოფილი.

— ძია ვაგნერი ლუდსა სვამს.

— ის სვამს, მაგრამ მხიარულია.

— ის ხშირად მღერის და თან უღვაშებს ლუდში ასეულებს.

— ძია ვაგნერი ამბობს, რომ ახლო მომავალში ატყდება ომი გერმანელ მოქალაქეთა შორის და

ბუნების გამოცოცხლება

თავისუფლებას უმღერის ქარი, გაქრილი ბარდაბარ, გადაფრინდება ღრუბელი ხევიდან ხევის გაღალმა!

ბალში ბავშვები მღერიან, ცა ნათელია ვრცეული, თითქოს მზეც პიონერია შორიდან გამოქცეული!

ყველგან სიცოცხლე გაისმის, იღვიძებს მთელი ბუნება, ეხ, რა კარგია ხალისით მინდვრებზე გახმაურება!

ალ. მამაშვილი

ამის შემდეგ კი გაიმარჯვებს მუშათა კლასი, რომელიც მოაწესრიგებს ყოველივეს. ქუჩებზე ყვავილები გაიშლებიან და ისინი უფასო იქნებიან ყველასათვის, რადგანაც გაქრება ფული; არავინ არასოდეს არ იტირებს და დამყარდება საუკუნო ნეტარება.

ჩაფიქრდნენ.

— შეხედე, ცაზე ჰაერობლანი დაფრინავს,—
შენიშნა ფრანცმა.

ისინი იდგენ და დიდხანს უცქეროდენ ლაქ-
ვარდ ცაზე მფრინავ ჰაერობლანს.

— მე მფრინავი ვიქნები!— განავრძო ფრანცმა.

— ჩამოვარდები!

— არა, არ ჩამოვვარდები.— უპასუხა ფრანცმა.

ამ სიტყვების შემდეგ ბავშვები ქალაქის დიდი
ქუჩისკენ გაემართენ.

რამდენადაც შორს მიდიოდენ ისინი, იმდენად
ხალხის მოძრაობა უფრო მატულობდა, თანდათან
უფრო ლამაზდებოდა ქალების ტანისამოსი და სა-
ვაჭრო ვიტრინებიც უფრო მდიდრულად გამოიყუ-
რებოდენ.

მათ წინ ავტობუსმა გაიქროლა.

რა კრიალა ავტობუსია!— წინა ბორბლები
წვრილი აქვს, უკანა მსხვილი. მდუმარე ადამიანი
ზის საჭესთან, მართავს მას და არხეინად მიაქრო-
ლებს. ნეტავ მე ვიყო მის ადგილას...— ფიქრობდა
ფრანცი.

ერთი დიდი სახლის წინ ფრანცმა და მატილ-
დამ ორი ბავში დაინახეს, რომლებიც მღეროდენ.

სახლის მდგმურები აივნებზე გამოსულიყვენ და
ბავშვებს უსმენდენ. როცა მათ სიმღერა გაათავეს,
ბავშვებს ზოგმა ნამცხვარი გამოუტანა და ზოგმა სპი-
ლენძის ფულები ჩაუწყო.

უცებ მატილდას თავში ახალმა აზრმა გაუელ-
ვა. მან გადასწყვიტა მიემართა იმავე საშუალებისა-



პიონერები რთავენ ლენინის ბიუსტს.

თვის, რომ სიკვდილისაგან გადაერჩინა თავისი თა-
ვი, პატარა ძმა და ავადმყოფი დედა.

ისინი მეორე დიდი სახლის ეზოში შევიდნენ.
სახლის აივნები სხვადასხვა ყვავილებით იყო შემკო-
ბილი და უზარმაზარ ადამიანთა ქანდაკებანი ამართუ-
ლიყვენ შესავალ კარებთან. ეზოში შადრევანი სცემდა.

ბავშვებმა ერთ დარბაზში ღია ფანჯარა შენიშ-
ნეს, დადგნენ მის წინ და სიმღერა დაიწყეს.

სიმღერა რევოლუციონური ხასიათის იყო, რო-
მელიც ბავშვებს მათმა საყვარელმა მოხუცმა მუ-
შამ—ძია ვაგნერმა— ასწავლა.

მათი სიმღერის დროს ღია ფანჯარაზე ერთმა
კობტად ჩაცმულმა და წვეგრავარსულმა ახალგაზრ-
და კაცმა გადმოიხედა.

ბავშვებს ახალგაზრდა ყმაწვილი მდიდარ პრინ-
ცად მოეჩვენათ.

— ვაშა, ბავშვებო, ვაშა! კარგი სიმღერა გცოდ-
ნიათ!— დაიძახა მან დაცინვით.

შემდეგ ოთახისკენ გაბრუნდა და ტელეფონით
პოლიციის უფროსს დაუძახა:

— აქ პატარა კომუნისტები არიან და რევო-
ლუციონურ სიმღერებს მღერიანო.

მათ ხმამაღლა მღერაზე ხალხი მოგროვდა.

ლიპიანი ვაჭრები, სათვალეებიანი მოხელეები
და მდიდრების ცოლები ქოლგებზე და ჯოხებზე
დაბჯენილნი უცნობ ყმაწვილთან ერთად თავს აქ-
ნევდნენ და სერიოზულად ფიქრობდნენ, თუ როგო-

რი იქნებოდა მომავალი გერმანია ასეთი მომავალი თაობის ხელში.

—მატილდო! კიალუებო! მკბენარებო! თქვენ უნდა ააყვოთ ჩვენი ქვეყანა?

—წაიყვანეთ უბნის საპატიმროში, რაღას აჩერებთ?—ყვიროდა ვილაც.

2. საპატიმროში.

ფრანცი და მათილდა მართლაც უბნის საპატიმროში გაგზავნეს.

— მიმყავს ორი კომუნისტი, რომ საპატიმროში პატიოსნება და კერძო საკუთრების პატივისცემა ვასწავლო! ამბობდა ბავშვების გამცილებელი პოლიციელი, როდესაც რომელიმე მოქალაქე შეეკითხებოდა ბავშვების შესახებ.

საპოლიციო უბანში ვილაც შუახნის ქერა მოხელე იჯდა.

ისიც პოლიციელსავით იყო შეიარაღებული, მაგრამ ეტყობოდა, რომ თანამდებობით ბავშვების გამცილებელზე უფროსი უნდა ყოფილიყო.

მან ბავშვებს დაწვრილებით გამოჰკითხა, თუ ვინ იყვნენ მათი მშობლები, რა იყო მათი ხელობა და სად ცხოვრობდნენ. მუშის სახელის გაგონებაზე შუბლი შეიკრა, ბავშვების ნათქვამი ყველაფერი ქალაქში ჩასწერა, შემდეგ წამოდგა, წელში გაიმართა, თვალები გადმოკარკლა და ბავშვებს ყვირილი და ტუქსვა დაუწყო.

მათ ფრანცი და მათილდა ერთ ჩაბნელებულ ოთახში გაიყვანეს და კარი ჩაუკეტეს. ოთახს ცემენტის იატაკი ჰქონდა და მასში არ იყო არც-ღასა-



კითხულობენ თავის ჟურნალს.

წოლი და არც ჩამოსაჯდომი. ბავშვები ცივ კედელს აეყუდნენ. დაღამდა. ფრანცი და მათილდა ფეხზე დგომით ისე დაიქანცნენ, რომ ორივე ცივ იატაკზე გაგორდა.

- გცივა, მათილდა?—შეეკითხა ფრანცი.
- არა მიშავს რა,—იყო პასუხი.
- შენ ხომ არ გცივა?—ჰკითხა მათილდამ.
- არა მიშავს რა,—უპასუხა ფრანცმა.
- შენ ხომ არ გშია?—იკითხა ფრანცმა.
- მოვითმენ!—იყო პასუხი.
- შენა?
- მეც მოვითმენ.

ამ ბაასში ბავშვებმა მკლავები თავქვეშ აიკეტეს და ძილს მიეცნენ.

3. ძია ვაგნერი.

მეორე დღეს საპოლიციო უბანში ბავშვების ახალი ჯგუფი მოიყვანეს.

— ფრიცი, ფრიცი!—დაიძახა მათილდამ.

მართლაც, პატიმარ ბავშვებში ფრიციც ერია.

ის წინა ღამით დაპატიმრეს, რადგან ქუჩებში კომუნისტური პარტიის პროკლამაციებს აკრავდა.

ფრიცს პოლიციის აგენტები უკვე იცნობდნენ, როგორც გაუტყებელ კომკავშირელს და პატარა მემბოხეს.



— რაკი შენც აქა ხარ, აწი აღარაფერი გვიჭირს, — სთქვა მათილდამ.

ფრიცს თავი დინჯად ექირა.

მან ფრანცს და მათილდას თმებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— იყავით მტკიცედ და ვაჟკაცურად! გამბნევდით!

ამ დროს ფრიცთან ერთად მოყვანილმა ბავშვებმა ყაყანი ასტეხეს, მაგრამ ფრიცმა ხელად გააჩუმა. შემდეგ ის ვიწრო ფანჯარას მიაღვა. მისი სახე საშინელი სანახავი იყო. შუბლი და ლოყები დალილებული ჰქონდა. ტუჩზე და ნიკაპზე ცხვირიდან გამოდენილი სისხლი მიხმობოდა, ხელებიც დალილებოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ საბრალო ბავშვი ვიღაცებისაგან იყო ნაცემი. ფრიცმა ხელებზე დაიხედა, მუჭები შეკუმშა და სთქვა:

— არაფერია, არაფერია, ჩვენც მოვესწრებით მაგ საძაგლების ჯავრის ამოყრას.

ფრანცი და მათილდა, როგორც მემამობე, ცუდი ყოფაქცევის ბავშვები და ვიღაც საეჭვო პირის შვილები, საზოლიციო სამართველოდან საპატიმროში გაგზავნეს.

— ხომ არ გეშინია? — ჰკითხა ფრანცს მათილდამ, როცა საპატიმროში წაყვანა დაუბირეს.

— არა, — უპასუხა ფრანცმა.

— შენ?

— არც მე, — იყო პასუხი.

ბავშვებმა საპატიმროში ორი დღე დაჰყვეს.

მესამე დღეს შათთან მათი მამის მეგობარი და ძველი მუშა ვაგნერი გაჩნდა.

მან ბავშვები თავდებობის ქვეშ გამოიყვანა.

როდესაც საპატიმროს კარებს გამოშორდნენ, ძია ვაგნერმა ფრიცს და მათილდას ბეჭებზე ხელი შეაფლო და სიცილით წარმოსთქვა:

— აი ვაჟკაცები! თქვენგან ნამდვილი კომუნარები გამოვა. მამათქვენს ორი წლის ციხე მიუსაჯეს. დედაც ცუდად არის, მაგრამ ნუ გეშინიათ: სანამ ცოცხალი ვარ, შიმშილით არ მოგკლავთ და სიკვდილს კი მინამ არ ვაპირებ, სანამ გერმანიის ოქტომბერს არ ვნახავ.

ს. კამარელი.



Handwritten notes and signatures at the bottom right of the page.

მსახური



სულილი

აუხათა მოსახლეობა

რომ სტეხონ ქვა, რომ ზილონ ცემენტი, რომ სტეკენონ ტინობი და თხარონ მიწა—მთელი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოაწყდა ზაჰესს სამუშაოდ აუარებელი ხალხი. მუშაობა კი მხოლოდ ერთი კვირეულით დაიწყო და მოკლე ხანში ისე გაიზარდა, რომ მუშები ათასობით დასჭირდა.

1921 წელს ჩაეყარა ზაჰესს პირველი საძირკველი და მას შემდეგ დღითიდღე იზრდებოდა სამუშაოები.

და, აი, ერთ წელიწადში იმდენმა მუშამ მოიყარა თავი, რომ მთელი ქალაქი შედგა. ზოგი მცხეთაში ცხოვრობდა, ზოგი ავჭალაში, მაგრამ ეს შორს იყო და მუშებს უჭირდათ იქიდან სამუშაოზე სიარული, ხალხი კი თანდათან მეტი შეიქნა საჭირო: ქვის სატეხებზე, ცემენტის საფქვაფზე, ტინობზე, მიწის სათხრელებზე... ყველამ გაიგო საქართველოში, რომ ზემო-ავჭალაში დიდი მუშაობები სწარმოებს, რომ აუარებელი მუშა ხელია საჭირო და მოაწყდა ხალხი სამუშაოებს: ქართლიდან, კახეთიდან, ტფილისიდან და თვით შორეულ გურია-სამეგრელოდან და სევანეთიდანაც კი.

ასე იმდენად მუშაობა. მთავრობამ მუშებს დაეხმარა, მკადგომები აუშენა, კოლპერატივი მოაწყო, დაეხმარა მათ სისადილო, პატარა საავადმყოფო, უწყო, დაეხმარა მათ სხელოსნოები. დადგეს პატარა ელსადგამი და ის ტრამალი ადგილი, სადაც ქართლელი გლეხი მიწის ხენითაც კი ვერ ირჩენდა

თავს და რომელსაც მე-5 საუკუნეში აშენებული ძველის-ძველი მონასტერი „ჯვარი“ დასცქერის, ქალაქს დაემსგავსა.

მოშორებით სარდაფები მოსთხარეს და შიგლალუმების *) საწყობები გამართეს, ლალუმები სახიფათო რამ იყო.

მერე მდინარე მტკვარზე ბორანი მოაწყვეს და მცხეთისკენ არაგვზე საცალფეხო ხილი გასდეს. ასე თანდათან გაშენდა ზაჰესი.

და ახლა, როცა მატარებელით გაივლით, ავჭალას იქით ტფილისიდან მოჩანს მშენიერი პატარა დაბა, ელექტრონით გაქათქათებული. ეს ზაჰესია.

ღამით ზაჰესი ზღაპრულად არის განათებული. შიგ რკინის გზის შტო შედის. ეს გამოიწვია წყლის გადაღობვამ.

ახალი ამოცანა

წარმოიდგინეთ, რომ წყარო მოწკრიალეხს. წყაროს ნაპირი სილიანი აქვს და სილის ქვემოთ კი თიხის ფენაა, და თქვენ გინდათ შეაგუბოთ წყარო. რას იზამთ?

თქვენ იტყვიან, რომ ეს სულ უბრალო რამეა: ჩაყარე შიგ მიწა და გზაც გადილობება. სრულიადაც არა! წყალი ოდნავ აიწყეს და ახალი გზის ძებნას დაიწყებს სადენად. წყალი ზეგვს შემოუვლის. წყა-

*) ლალუმი—ძლიერი ასაფეთქებელი მასალაა. ლალუმით მიწას და კლდეებს აფეთქებენ. მისი შენახვა ისე ფრთხილად არის საჭირო, როგორც დენთის (თოფის წამლის).

ლი ავა ქვეშთან ნაპირზე და შიგ გაიპარება და მერე თავის კალაპოტში ჩავარდება და წავა-წამოვა ისე, თითქოს ნაკადულში უზარმაზარი ქვა ჩაგდეს, წყალმა შემოუარა მას ირგვლივ და განაგრძო თავისი გზა.

როგორ უნდა მოქცეულიყვნენ აქ? აი როგორ: რომ ავიღოთ გრძელი და ფართო ფიცარი და ისე მოვათავსოთ, რომ მან გასკრას წყაროც და შლამიც და ბოლოვებით კი თიხნარიან ნიადაგს მივაბჯინოთ, მაშინ სულ სხვა საქმე იქნება. დაეგვრება წყალი ფიცარს და მაშინვე ცდილობს ირგვლივ მოუაროს საგუბარს და შლამიან ნაპირს მიადგეს, მაგრამ, დახეთ, იქაც ფიცარი ხვდება, კიდევ იქით და იქით და ასე ცდილობს, რომ რაიმე ნაირად გასავალი მონახოს; აი, მივიდა წყალი ნაპირამდე; აქ მას თიხა ხვდება, თიხაში კი ვერ გაიჟონება—და ნაკადული გადაიღობა.

ამ ხერხს მიმართეს ზაჰვისის ამშენებლებმაც.

ნახეს მტკვარი იმ ადგილას, სადაც კაშხალი უნდა მოეწყოთ, ნაპირები კლდიანი ჰქონდა, ამას რა სჯობდა, მაგრამ კლდე ხშირად დასვრეტილია; შეშინდნენ ოსტატები, რომ წყალი არ გაპარულიყო კლდის ნასვრეტებში, გამოიკვლიეს და კლდე გამძლე აღმოჩნდა. მაშინ დაიწყეს მუშაობა.

ღირს, განა, ჩიტი ბღღუნად?

ჯერ კაშხალი და ჯებირის აგება არც იყო დაწყებული, რომ ამდენი ხარჯი იქნა გაწეული, ამდენი მოსამზადებელი მუშაობა: ეს—რკინისგზა, ეს ტინობის ქარხანა, ეს სამოსახლოები, ეს ქვის ტეხა და ელექტროსადგური.

რამდენი ფული, რამდენი შრომა იქნა ჩაყრილი ამ საქმეში და მთავარი საქმე კი ჯერ კიდევ წინ იყო:

— საჭირო იყო ტინობის ჯებირით მტკვრის გადაღობვა და ახალ კალაპოტში ჩაგდება.

ახლა სადგური? ბრუნაროები, ელექტრო-მანქანები, 20 კილომეტრი სპილენძის მსხვილი მავთული ზემოაგვალიდან ტფილისამდე, ახლა მისი ბოძები?..

აქ უკვე იბადება საკითხი: ღირს თუ არა ყოველივე ამად ეს ნაშენობა, ღირს თუ არა ჩიტი ბღღუნად?

დავუშვათ, რომ ყველაფერი მზად არის, დავუშვათ, რომ ზაჰვისი ამუშავდა, რა გამოვა აქედან?

აქედან ის გამოვა, რომ 1927 წლიდან ტფილისის ფაბრიკა-ქარხნები ამუშავებული იქნება მდინარე მტკვრით. მტკვრის ენერჯია არის ის ძალა, რომელიც დააბრუნებს ტფილისის ქარხნის ყველა

ბორბალს. ამისთვის წყლის ენერჯიას ელექტრო-ენერჯიად აქცევენ.

მტკვრის მაგიერ რომ მხოლოდ ორთქლით მომუშავე ელექტრო-სადგურები იძლეოდნენ ენერჯიას, მაშინ ტფილისისთვის რამდენიმე ათასი ვაგონი ქვანახშირი იქნებოდა საჭირო. ვაგონებს რამოდენიმე ათასი ვერსი უნდა გაეკეთებინათ ღონის ქვანახშირის აუზიდან და ტყიბულიდან ტფილისამდე და მილიონ ფუთამდე ქვანახშირი უნდა მოეტანათ. ამისთვის კი მილიონ მანეთამდე უნდა დახარჯულიყო, ისიც ოქროთი!

ახლა კი ვაგონები თავისუფალი იქნება ნახშირის ზიდვისაგან და სხვა საქონელს გადმოაზიდვენ, ქვანახშირს კი იქ მიაწოდებენ, სადაც არც მდინარეა, არც ბრუნარო და არც ზაჰვისი.

ტფილისისათვის არ იქნება საშიშო, თუ მას ნახშირს არ მიაწოდებენ ღონიდან: მას მუდამ გამოუღვევლად ექნება თავისი „თეთრი ნახშირი“— ზაჰვისის წყალი. მცხოვრებლებიც ნაკლებ ხარჯს გასწევნენ ელექტრო-ენერჯიისათვის, ვიდრე უწინ.

აი რას ნიშნავს ზაჰვისის ამუშავება.

მტკვრის მუშაობის ფასი რომ გავიგოთ, საკმაოა გავიგოთ, რომ ის წელიწადში ოცდაათ ათას ორთქლის ცხენის ძალას იძლევა *).

ეს მუშაობა რომ ადამიანის მკლავის ძალაზე გადავიტანოთ, მილიონი მუშა ხელი იქნებოდა საჭირო და მათ დღე-ღამე განუწყვეტლივ უნდა ემუშავათ. მაშასადამე, ზაჰვისი ტფილისს და მის ახლო მახლო მდებარე ადგილებს მილიონიან მუშათა არმიას ანიჭებს.

ისე გამოდის, რომ ჩვენ დროში ყველაზე სახეირო და სარფიანი საქმე წყლის ბრუნაროსა და ელექტრო-ძრავის დადგმა არის. ელდენი ანათებს, ათბობს, გადააქვს ტვირთი, ამუშავებს მასალას—და ყველაფერ ამას ის სწრაფად და ეკონომიურად აკეთებს. და ახლა მთელი სამუშაოები ელექტროზე გადაჰყავთ.

ამიტომ საჭირო არის, რომ ეს ელექტრო-დენი იყოს მეტად ბევრი და რომ ის იაფი ჯდებოდეს. ეს კი ზაჰვისს შეუძლია.

ასე რომ ჩიტი ჰღირს თურმე იმად, რომ გაბღღუნან.

ელექტრო-ძრავს შეუძლია ჩვენი ყოფა-ცხოვრების ძირეულად შეცვლა. ქოხები ელექტრონით იქნება განათებული. ხანძარიც ნაკლებ გაჩნდება. გამოიანგარიშეს, რომ იქ, სადაც ელექტრონს ხმარობენ, ორმოცჯერ ნაკლები შემთხვევაა ხანძრის გა-

*) ორთქლის ცხენის ძალა ნამდვილ ცხენის ძალაზე მეტია. ის ჩვეულებრივი ცხენის 1 1/3 ძალას უდრის.




ჩენისა, ვიდრე იქ, სადაც ნავთს სწვავენ. შემდეგ ელექტრონს გადისერიან სოფლებშიც პურის საღეწავად, სანავებლოდ, საფქვავად, კარაქის სადღეებლოდ, ყველის ამოსაღებად. მას მოიხმარენ მძიმე სამუშაოებზედაც — სახნავ-საფარცხავად, კრამიტისა და აგურის ქარხანაში, სამჭედლოში, თიხის სამუშაოებზე, სახელოსნოებში, სათოქმანოში, სადურგლოში, სახარატოში და ყველგან, სადაც კი ეს საჭირო იქნება.

ასე ახდენენ ელექტროფიკაციას ადამიანის მთელი შრომისას, არამც თუ ქალაქში, არამედ სოფელშიაც. სოფლის დედაკაცი აღარ გაიქცევა ეზოდან კოკით წყლის მოსატანად, წყალს ძრავი მიაწოდებს აუზში და აუზს ონკანი ექნება. აუზის წყალი საკმარისი იქნება აბანოსთვისაც და ხანძრის გაჩენის შემთხვევაშიც.

აი ამიტომ ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მთელი რესპუბლიკის ელექტროფიკაციას. და ახლა ს. ს. რ. კ.-ში სწარმოებს ასეთი სადგურებს აგება. აშენებენ სადგურებს მდინარე ვოლხოვზე, დნებოზე, აბაშის წყალზე, აქარის წყალზე, სომხეთში და ბევრ სხვა ადგილას.

მცირე ქალაქები და სოფლებიც კი ერთიანდებიან ერთ კავშირში და გაერთიანებული ძალებით აგებენ ასეთ სადგურებს, რომ მათი დახმარებით შეიძინონ ეს მეტად ძვირფასი ელექტრო-ძალა.

საკმაოა, რომ თქვენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რუკას დახედოთ და დაინახოთ, თუ როგორ არის საქართველოს მიწაწყალი დაქსელილი ათასი მთის მდინარეებითა და ტბებით. ყველგან შეიძლება დაიდგას ელსადგურები და მთელი ეს ურჩი მდინარეები დაბორკო, დაადგა უღელი და ადამი-



ლენინის ძეგლი ზაჭესში.

ნის სასარგებლოდ ამუშაო. ხომ შეიძლება სულ პატარა მდინარეც კი დაგუბო და მის წყალს პატარა ელსადგურის ბორბალი აბრუნებინო.

აქ კი ზაჭესი დაგუბავს დიდ და მძლავრ მდინარეს მტკვარს და არა პატარა მდინარეს: იქ ოთხი ბრუნარო იმუშავებს წლების განმავლობაში განუწყვეტლივ.

არა, უმჯობესია გაწეულ იქნას ეს უდიდესი შრომა და მტკვარზე ჯებირი იქნას დადგმული.

ფსკერში

ჯებირი—ეს მთაა, ტინობის ხერგი, ჩაშენებული მდინარეში. რა უნდა მერე მაგას ამდენი? აიღე და ჩააშენე შიგ ეგ ტინობი, მორჩა და გათავდა!

მაგრამ საქმე ეგრე უბრალოდ როდია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ტინობის კაშხალი რამდენიმე ათასი ტონის *) სიმძიმეა. ამიტომ საჭირო არის გა-

*) ტონი უდრის 62 ფუთს.

მორკვევა იმისა, თუ რას უნდა დაეყრდნოს ეს უზარმაზარი სიმძიმე, რა ნიადაგი არის ფსკერში და გაუძლებს თუ არა. იქნებ, ყველაფერი ჩაიტანოს და მთლად დაიკარგა ეს ამოდენა ნაწვევ-ნადაგი, ანდა, იქნებ, ფსკერი სვრელეობიანია, მაშინ ხომ გავპარა წყალი ამ ჯებირს ქვემოდან. ბუნება ხომ საგანგებოდ არ დააქვიტკირებდა ფსკერს იმიტომ, რომ ჩვენ ეს გვკირდება?..

გამოიკვლიეს ფსკერი და ნახეს, რომ არა უშავს რა. ნაპირი და ფსკერი მთლად ტინის კლდეა.

ასე რომ მუშაობა შეიძლება დაიწყოს.

ყოველ თქვენგანს უნახავს და იცის, რომ სახლის საძირკვლის ჩაყრის დროს დიდ თხრილს ამზადებენ, სიგანით კედლის სისქის ოდენს. ამერიკაში ცადმბჯენების ასაშენებლად მთელ ხევს სთხრიან ოცდაათექვსმეტი მეტრის სიმაღლეს, რომ ზედ ორმოცსართულიანი, ე. ი. ასორმოცდაათი მეტრის სიმაღლე, სახლი მტკიცედ გაჩერდეს.

ჯებირისათვის კი ეს განსაკუთრებით საჭირო არის: წყალი არაკითარ დაბრკოლებას არ იტანს — სულ პატარა ქუტრუტანას უზარმაზარ ხვრელად გამოკრეცხავს და გავა. წყალს ხომ არ სძინავს! ერთი ბეწვა შეცდომა — და ყველაფერი ფუჭად ჩაივლის.

1923 წელს იტალიაშიც აშენებდნენ დიდ ჯებირს და, აი, როცა ის სულ მთლად მზად იყო, ერთ ღამით მოწოლილმა მდინარემ ერთიანად გაიტანა ყველაფერი და თან წაიღო.

რატომ მოხდა ეს?

ეს იმიტომ მოხდა, რომ ფსკერში კარგად არ იყო ჩაბჯენილი ჯებირი, წყალს ვერ გაუძლო და დაიწვრა. ასე დაიღუპა მთელი ამდენი შრომა და გაწეული ხარჯები.

ახლა ზაჰესის ინჟინრებისათვის დადგა საკითხი: როგორ უნდა იმუშაონ წყალში, რომ საძირკველი ჩაუყარონ?

ამიტომ საჭირო იყო მუშაობის დროს მდინარისათვის შემოსავლელი გზა გამოენახათ. რა უნდა ექნათ მათ? ახალი ტოტის გაყვანა ძლიერ ძვირი ჯდებოდა, მაშინ მათ მოიფიქრეს ასე: მტკვარში იმ ადგილას, სადაც ჯებირი უნდა აეშენებინათ, შუაში კლდის პატარა გორა იყო ამოზრდილი. მთელი მდინარე ამ კლდის მარცხნივ გადაუშვეს და მუშაობა დაიწყო. როცა მუშაობას მორჩენ, ჯებირს კარები დაუტოვეს ალაყაფებივით და მდინარე ახლა მარჯვენა მხარეს გაუშვეს ჯებირის ალაყაფში და ასე მეორე მხრივაც ააშენეს ჯებირი.

ამ დროისთვის კი მეორე მხარეს ახალი არხი მზადდებოდა და ასე მდინარეს კალაპოტი უნდა გამოეცვალა, ისევე, როგორც წისქვილის წყალს გადუგდებენ ხოლმე, რომ ჩანჩქერი მაღალი იყოს.

ამიტომ საჭირო შეიქნა სამი კილომეტრი არხის გაყვანა, მისი ნაპირების ტინობით მოშენება, რომ წყალი ნიადაგში არ გაპარულიყო.

როცა ჯებირი დამზადდა, მაშინ ყველა ჯებირის კარები დაკეტეს და მტკვარი დაგუბდა რამდენიმე საათით და როცა ნაშენობათა სიმტკიცეში დარწმუნდნენ, მაშინ მათ გაბედულად დაუღლეს წყალი, და აი წყალი დაგუბდა და უზარმაზარი ტბა დადგა. და როცა ახალი არხის ფსკერს გაუსწორდა, შიგ წავიდა.

იმოდენა ტბა დადგა, რომ მთელი ძველი სამხედრო შარავზა დაფარა, მდინარის პირას დაბლობში მოსახლენი აჰყარეს და ახლა იმ ადგილას ტბა არის. ასე დააბეს მტკვარი ინჟინრებმა. ეს შედარებით სხვა ელსადგურებთან ადგილი საქმე იყო. მაგალითად, ლენინგრადთან ვოლხოვის ელსადგურს გაცილებით უფრო დიდი ჯაფა დასჭირდა, თვითონ ვოლხოვიც ხუთჯერ უფრო დიდი არის მტკვარზე. ეს მეტად საინტერესო რამ არის და შემდეგ ვიამბობთ.

ზ. დარჩია.

თბილისის
კომუნისტური
კულტურის



წითელ მოსკოვში

კარგი წლები*)

სექტემბრის დასაწყისს ჩიკამ წყვილი მაგარი და მაღალი წაღები მიიღო. ძან გახარებული იყო. იმ დღეს მას კიდევ მოელოდა დიდი სიხარული: საღამოთი მოვიდა სერგო და უთხრა მას, რომ იგი ვადაყვანილია უფრო კარგ სკოლაში, სადაც მეცადინეობა შედარებით უფრო მეტი მოუხდებოდა. ჩიკა უკვე საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა რუსულად, სწერდა კიდევ რუსულად უფრო კარგად, ვიდრე იტალიურად, ეს იმ დროს, როდესაც კეთილი პლუტო იღებდა მისგან წერილებს ლივერნოდან და გენუიდან. ჩიკა მაინც თავს არ ანებებდა თავის მშობლიურ ენას: ყოველ საღამოს ახალ სკოლაში მეცადინეობდა იტალიურად.

რა უნდა გაეკეთებია ჩიკას ახლა ფლორენციაში? ის ისევესე ობოლი იქნებოდა, უბინაო, ძონძებში და ულუკმაპურო! მერე? რა მოელოდა მას? რა სამუშაოთი უნდა ერჩინა თავი? პლუტოსთან ჭურჭლის დარეცხით? შავი ჭუჭყიანი მუშაობით? სხვა რის იმედი უნდა ჰქონოდა უვიცს და უცოდინარს!? კი, ის მაშინ იქნებოდა მზიდველი მძიმე ტვირთისა სადმე ქარხანაში, თავისი პატრონის ხელში გროშის შემეყურე.

ტოპო? რას აკეთებს, ნეტავ, ახლა? დანარჩენები? ჯიწი, მუსკოლო, სიღბა... კიდევ სხვები, — ფერმკრთალი, დამშეული, უსწავლელი ბრბო?! ეს ბაღლები დასაბამიდან სილატაკის და მონობის უღელში არიან.

ჩიკაც ლოგინში ბორგავდა და კმუჭნიდა ბალოშს ჯავრისაგან.

ჰო! რა ბედნიერია ჩიკა, რომ მოვიდა მოსკოვში! გულში კი ჯავრი მოსდიოდა და ნანობდა კიდევ, რომ თან არ წამოიყვანა ტოპო. ქვეყნიერებას კიდევ ერთი ბედნიერი მიემატებოდა, უბედურებს ერთი უბედური დააკლდებოდა.

საწყალი ტოპო!

ასე ფიქრობდა ჩიკა ტოპოზე და აგრეთვე სხვა ძველ მეგობრებზე, ხანდახან არამეგობრებიც აგონდებოდა, თანაც ძილი მოსდიოდა.

ჩიკა მარტო გონებრივად კი არ ვითარდებოდა, ის მაგრდებოდა ჯანითაც. კაი საჭმელი, მუღმივი სისუფთავე და ვარჯიშობა კეთილად მოქმედობდა მასზე. ახლადმოვლენილი, როგორც იტყვიან, მოლასსე ბარტყი, მოჩიტავდა, ჯანმრთელი და ლამაზი ბიჭი გახდა: მისი სახე გასათნოვდა, ჩიკა შესამჩნევლად გაიხარდა, გარბოდა როგორც ირემი, ხეებზე დამძვრებოდა, როგორც მაიმუნი, ჩასპანეობაში ბადალი არა ჰყავდა, რამდენიმე ვარჯიშობის შემდეგ ბოქსში, შეიძლება ითქვას, ის არ ჩამოუვარდებოდა კარგ მოთამაშეს.

— მე შემძლია ახლა კისერი მოვუგრინო გველ-ბაყაყებს — ფიქრობდა ის და თანაც სიამოვნებით იშინჯავდა თავის ძარღვიან და კუნთიან ხელებს.

დიახ, ჩიკა სწავლობდა და თანაც მხიარულობდა! თავიდათავი — ფიქრობდა! ოცნებობდა!

ჩიკას ყველაზე ძლიერ კი გული სასიამოვნოდ აუტოკა ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის ჩატარების სანახაობამ. ალექსი პევენერმა წაიყვანა თან ეს ბაღლი წითელი მოედნის ტრიბუნაზე. ჩიკამ ნახა იქ აუარებელი ხალხი, ნახა აგრეთვე ლენინის საფლავი, ამ დიდებული მასწავლებლის, დიდებული მებრძოლის, პროლეტარული მოძრაობის დამწყებისა. არ გამოარჩენია ჩიკას ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ამხანაგების სიტყვებიც. მათმა სიტყვებმა ცოცხლად თვალწინ წარმოუდგინა პროლეტარული რევოლუციის მთლიანი მსვლელობა. ჩიკას სიხარულით უფანცქალებდა გული, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიოს მოედებოდა და ბურთი და მოედანი პროლეტარიატს დარჩებოდა, დაჩაგრული მშრომელი ხალხი გაიხარებდა.

მერე იყო აღლუმი და გამოსვლა: ჯარი მიდიოდა მუსიკით და ინტერნაციონალის მწყობრი სი-

*) დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 6.




მღერით. ესენი ტანით გიგანტები იყვნენ, სახით კი — ბედნიერი ყმაწვილები! გაიარა კავალერია — მკვირცხლ და მშვენიერ ცხენებზე; შემდეგ იგრილა არტილერია, მას მოჰყვენ განიერ ნაკადულად კომუნისტური პარტია და კომკავშირელები, მათ უკან — მუშათა უთვალავი რიგები, მოსკოვის რაიონების ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები რიგრიგობით, ამართული წითელი დროშებით, პლაკატებით და დევიზებით, ქალები, კაცები, ჯეელები და ბებრები! ბედნიერი, ამაყი და რწმენით სავსე სახეები! ამ სანეტარო სურათის თავზე კი — მოწმენდილი ცა, თოვლში მზინავი მზე, თვითმფრინავთა გუნდები ჰაერში, დაუღალავი და უშრეტეი ძახილი: — გაუმარჯოს კომუნიზმს!

ჩიკა მზის ჩასვლამდე ფეხს არ იცვლიდა ტრიბუნიდან.

მერე მან დაინახა, რომ მანიფესტაცია თავდებოდა, და ხალხიც იშლებოდა. და ისიც წავიდა მოედნიდან. ჩიკა ძლივ ძლიობით იკვლევდა გზას შინისაკენ ამ ზღვა ხალხში, მასთანავე თანდათან ხვდებოდა სხვადასხვა ქარხნების, სახელოსნოების და დაწესებულებათა და პროფკავშირების ახალ-ახალ რიგებს, რომლებიც გავლის დროს კრემლის წინაშე ქედს უხრიდნენ დროშებს, ნიშანს თავისუფლების, სიმართლისა და თანასწორობისა, აგრეთვე სიმბოლოს მთელ მსოფლიოს დაჩაგრულების ხსნისა.

იმ ღამეს ჩიკას ძლივს დაეძინა, მიუხედავად დაღლილობისა. ამ გამოსვლას ის ადარებდა გამოსვლას, რომელიც ენახა ფლორენციაში, ადარებდა და ანგარიშს უწევდა საბჭოთა მუშის მდგომარეობას და იტალიის მუშის ყოფას. ვერ უდგებოდენ ერთმანეთს.

საქართველოს
* ტფი
ნაგუბარო



პიონერები ერთობიან

დისკიპლინა.

— ერთი კვირის შემდეგ, რაც ჩიკა თავის სიცოცხლეში მესამეჯერ ყოფილიყო სკოლასთან ერთად მაისის დღესასწაულებში და როდესაც მისი გონება სავსე იყო იმ გეგმებით, რომ ორი წლის შემდეგ ის გაათავებს სკოლას და გადავა იქიდან უმაღლეს სასწავლებელში, კომუნისტურ უნივერსიტეტში, როდესაც მისი გული სავსე იყო აღფრთოვანებით აწმყო მიღწევებისა და მომავალში კომუნიზმის კვლავ ახალ-ახალი გამარჯვების გამო, — მასთან მივიდა სერგო ხარიტონის ძე.

ჩიკა სიხარულით მიეგება მას და თანაც გაკვირვებული იყო მოულოდნელი მისვლის დროით: ჯერ ისევ შუადღე იყო, და სერგო ამ დროს ყოველთვის სამსახურში იყო ხოლმე.

გუდკოვს, ცოტა არ იყოს, სახის სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

— ჩიკა, ცოტა რამ მოსალაპარაკებელი რამა გვაქვს — და უცერემონიოდ პირდაპირ ჰკითხა:

— შენ გინდა დაბრუნდე იტალიაში?

ჩიკამ შეხედა მას არც ძალიან სერიოზულად, არც ძალიან ღიმილით.

— ხომ არ ხუმრობთ, სერგო?

— არა, სერიოზულად გეუბნები, გინდა იტალიაში?

— არაოდეს! — იყო პასუხი.
სერგომა შეხედა მას თვალებში.

— მართალს ამბობ?

— პატიოსნებას გეფიცები!

— არც მაშინ, თუ, ვინიცობაა, წახვიდე იქ და გქონდეს, რაც გინდა.

— არა, მე არაფერი არ მინდა, ოღონდ საბჭოთა კავშირში ვიყო.

— იტალია ხომ შენი სამშობლოა?!..

— ეგ მართალია. დავიბადე მე იტალიაში, თუმცა კი არ ვიცი როგორ და ვისგან. იტალიაში მე ბევრი ვიტანჯე. მე იქ ვცხოვრობდი, როგორც მაწანწალა ძაღლი, აქ კი კარგად ვგრძნობ თავს. მე ვუყვარდით, მასწავლეს, კაცი გამხადეს! იტალიაში ახლა მე არავინა მყავს. ვერა, ტოპო და სხვა ტოლ-ამხანაგები, — მათ ყურებას მე ვერ ავიტან, მძიმეა მათი ხვედრი. ვანა არ გესმისთ, სერგო, რომ მე აქ ყველაფერი მაქვს — აწმყოც და მომავალიც? იქ კი — არაფერი. აქ საბჭოებია, იქ კი — ფაშისტების კეტები.

— მაინც აქ არ არის არც კარაის ხილი, არც პინონე და არც არნო...

ჩიკა ჩაფიქრდა.

— ჩემთვის კრემლია ძვირფასი, დიახ, მეტად ძვირფასია.

— იქ რომ შენ მოგეცეს შეძლება განაგრძო სწავლა, იცხოვრო არხეინად, წიგნის მალაზია გახსნა?

— მე ეგ არ მინდა.

— ჩანს, შენ სრულიად არ გინდა საბჭოთა ქვეყნიდან წასვლა!

— რასაკვირველია, არა!

— შენ კი წასვლა მაინც არ ავცდებ.

— როგორ? — შეჭყვირა გაოცებულმა და აღშფოთებულმა ჩიკამ: — ეგ რას ნიშნავს?

— ეგ იმას ნიშნავს, რომ შენ მოგიხდება წასვლა სურვილის წინააღმდეგ.

— სურვილის წინააღმდეგ!

— არა, მხოლოდ...

— ხუმრობთ დღეს! ყოველ შემთხვევაში იცოდეთ კი: მე არაოდეს აქედან არ წავალ, ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს! რო გამავდოთ კიდევ ძალით, მე იქიდან ჩუმად ისევ დავბრუნდები.

ჩიკას ვერაფერი გაეგო რა — ხუმრობდა სერგო, თუ სერიოზულად ეუბნებოდა, მხოლოდ მიხვდა და გრძნობდა, რომ სერგოს ლაპარაკში რაღაცა იყო სიმართლეც ერია. ეს მას აღიზიანებდა.

— ეშმაკმა წაიღოს მისი თავი! — მუშტი და-არტყა ჩიკამ მაგიდას.

სერგოს ვაეცინა.

— ეს ჩვენი პარტიისათვის არის საჭირო.

— რახან პარტია საჭიროებს, მე მზადა ვარ!

ჩიკას თვალებზე უბრწყინავდა ცრემლები. ის უღონოდ გადაიხინჯა სკამის ზურგზე.

სერგომ ჩამოართვა ხელი.

— შენ ყოჩაღი ხარ, ჩიკა, ყოჩაღი. შენ კომუნისტური პარტიის რიგში დგომის ღირსი ხარ!

ჩიკა ჩუმად იყო, ესამოვნებოდა ქება. სერგომ განაგრძო:

— ასე, ჩემო კარგო ჩიკა! შენ წასვლა მოგიხდება, ველარ შესძლებ სწავლის განაგრძობას, არხეინად კი იცხოვრებ იქ, წიგნებს არ ივაჭრებ, შენ მიღიხარ საბრძოლველად! შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ისევ ძონქებში იყო, შიმშილიც აიტანო, იგლახა კიდევ. ერთი სიტყვით, იყო ისევ ძალღურ-უბღურ ცხოვრებაში.

ბაღლი არ შეკრთა.

— რა ვუყვით, ამას ხომ პარტია მოითხოვს. წავალ კომუნისტების გულისთვის. რახან ვგრეა, მე მივდივარ დიდის სიხარულით!

სერგო სიამოვნებით გადაეხვია ჩიკას.

— ყოჩაღ, გენაცვა!

რამდენიმე სიტყვით სერგომ უამბო ჩიკას, რაში მდგომარეობდა საქმე:

— ერთი ამხანაგი ვაგზავნილი იყო საზღვარგარეთ საიდუმლო მინდობილობით. ის უნდა მისულიყო იტალიაში და იქიდან საფრანგეთში. მას ჰქონდა თან ფრიალ საჭირო ქაღალდები. მან მიღწია პრაგამდე, მის შემდეგ არავითარი ცნობა არ არის, მისი კვალი დიკარგა. უნდა გავიგოთ, რა დავმართა მას. ეს ამხანაგი გამოცდილი და ერთგული მუშაკი იყო. ერთადერთი, რაც შეიძლება ვიფიქროთ, — ის, რომ მოჰყვა ჩვენ მტრების მიერ დაგებული ხაფანგში.

ჩიკას როგორმე უნდა აღმოეჩინა დახმარება უგზო-უკვლო ამხანაგის ძებნაში, მასთანავე დოკუმენტების პოვნაშიც. მას უნდა ემუშაენა კუბანსკისთან ერთად.

— კუბანსკისთან? დიდის სიამოვნებით! მე ის ძალიან მიყვარს! სერგო, მე მზადა ვარ!

— შენ თავის დროზე შეგატყობინებენ, მანამდე კი არავის არაფერი უთხრა.

— ნუ გეშინია, მე ყბელი არა ვარ.

— დღეს საღამოთი შევხვდებით პევზნერთან, მან ჩავაბა ამ საქმეში, — სთქვა სერგომ ადგომით.

— ყოჩაღია პევზნერი! დავიჯერო, ჩემზე კარგი ვერავინ გამონახა? მაგრამ ამას რა სჯობია. შე ჩემში მეტადა ვარ დარწმუნებული, ვიდრე სხვაში.

ჩიკამ გააცილა სერგო სკოლის კარებამდე, მერე დაუბრუნდა თავის ოთახს, დაჯდა საწოლზე და გადისვა ხელები შუბლზე, თანაც დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ჰე! გამიფრინდენ ჩემი ნათელი დღეები!

* *

ორი დღის შემდეგ კუბანსკისა და ჩიკას აეტომობილი მიაგრიანებდა ვინდავის სადგურისაკენ.

მალხაზი ჩიკა საწოლი სალონის კუპეს ფანჯრიდან უყურებდა ჩამავალი მზის სხივების მიერ ოქროთი შევარაყებულ მოსკოვს. როცა მატარებელი დაიძრა და ქარხანა-ფაბრიკების სვეტები და ბუხარ-მილები მიიმაღლენ და გაქრენ გავლილი ტყის ბოლოს, ჩიკამ ღრმად ამოიოხრა და მიუჯდა გვერდით კუბანსკის.

რა სიძველე კომკავშირის მე-IX ყრილობა პიონერთა მუშაობაზე.

„ბავშთა კომუნისტური მოძრაობა მუდამ თამაშობდა და თამაშობს კიდევ მთავარ როლს ბავშთა მასების კლასობრივად აღზრდის საერთო სისტემაში და ამიტომ პარტია და კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევენ მის ფართედ განვითარებას ჩვენში“.

ასე იწყება მე-IX ყრილობის რეზოლუცია პიონერთა შორის მუშაობის შესახებ. ეს, რასაკვირველია, სამართლიანი შეფასებაა. ამას მოწმობს ის, რომ რაც დრო გადის, პიონერთა ორგანიზაცია მიიწეფრო ღრმად იჭრება ქალაქად და სოფელად, მით უფრო ფართედ აბამს თავის წრეში მშრომელთა შვილებს; პიონერ-ორგანიზაცია გადაიქცა მუშათა და გლეხთა შვილების საუკეთესო „თავშესაფარად“, სადაც პოულობენ ისინი თავისი პოლიტიკური და კულტურული აღზრდის საზრდოს.

პიონერ-კოლექტივი დღეს, ქალაქად თუ სოფელად, პარტიისა და კომკავშირის შემდეგ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ცოცხალი და შემოქმედი ერთეულია საერთო აღმშენებლობაში; პიონერთა ხელი ყველგან გამოჩნდა: სკოლაში, ოჯახში, წარმოებაში, ქოხ-სამკითხველოში, კლუბში, საბავშვო სახლში თუ საბჭოს მუშაობაში; პიონერები თავისი პატარა ხელებით ყველგან, სადაც კი მათ ღონე შესწევთ, ეხმარებიან უფროსებს მათ დიდ მუშაობაში; ისინი შევლიან პარტიას და კომკავშირს გზებისა და ხიდების შეკეთებაში, გაზეთის ხმამაღლა წაკითხვაში, სისუფთავის პროპაგანდასა და საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. ამ შრომაში კი პიონერები იძენენ საზოგადოებრივ—სასარგებლო თვისებებსა და ჩვევებს, ცოდნას, რომელიც საჭიროა მათთვის, როგორც მომავალი კომკავშირელებისათვის.

პიონერები აგრეთვე ფართედ მუშაობას ეწევიან სასოფლო მეურნეობის განვითარებაში, სწავლობენ და ავრცელებენ ამ მეურნეობის კულტურულ სახეებს, პროპაგანდას ეწევიან მშობლებში და გლეხობაში კოლპერაციის მნიშვნელობაზე, რომელმაც უნდა გააერთიონოს მთელი სასოფლო მეურნეობა მომავალში.

პიონერთა საერთო მუშაობაში ფართედ აღდილი დაიკავა ხელსაქმის, რადიოს, სიგნალიზაციის, მუსიკისა და სხვადასხვა დარგის წრეების ჩამოყალიბებამ. ამ მხრივ უფრო წინ არიან ქალაქის კოლექტივები, რომელთაც ასე თუ ისე პირობებიც ხელს უწყობს ამ მუშაობის წარმატებისათვის.

ყველა ეს მიღწევა ხაზგასმით აღნიშნა ახლანდელ დასრულებულმა საქ. კომკავშირის მე-IX ყრი-

ლობამ. მაგრამ ისევე, როგორც ყრილობამ, ჩვენც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ მთელი რიგი სუსტი მხარეებისა პიონერთა მუშაობაში. ეს სისუსტენი გამოიხატება უმთავრესად იმაში, რომ პიონერები, როგორც სოფლად ისე ქალაქად, ჯერ კიდევ სუსტ მუშაობას ეწევიან შეუკავშირებელ ბავშთა შორის. ამით აიხსნება ის, რომ საქართველოში სულ გვყავს პიონერთა ასაკის 545,102 ბავში, აქედან პიონერთა ორგანიზაციაში კი ჩაბმულია მხოლოდ 85.754, რაც დაახლოებით 15% შეადგენს. ამიტომ, მთავარი ამოცანის სახით, ყრილობამ წამოაყენა შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობის გაძლიერება. რაში უნდა გამოიხატოს ეს მუშაობა? აქ შეიძლება აღინიშნოს კოლექტივის საბჭოს როლი და რგოლების მუშაობის ხასიათი. საბოლოოდ ხელი უნდა ავიღოთ კოლექტივის საბჭოების ფორმალურ დადგენილებებზე, „რეზოლუციების“ გამოტანაზე ბავშთა შორის მუშაობის შესახებ და სხვა. კოლექტივის საბჭომ მუდამ პრაქტიკულად უნდა განიხილოს ხოლმე საკითხი, სად, როგორ და ვის რა შეუძლია გააკეთოს იმისათვის, რომ მივიზიდოთ დაურაზმელი ბავშვები. იმისდა მიხედვით, თუ შეუკავშირებელი ბავშვები სად უფრო მეტად იყრიან თავს (კლუბი, ქოხ-სამკითხველო, სკოლა), უნდა გაანაწილოს რგოლებს შორის დავალება, თითოეულ რგოლს კი თავის მხრივ უნდა ახსოვდეს, რომ მარტო სიტყვიერი მოლაპარაკებით ვერ მიიზიდავს ბავშვებს. ამიტომ საჭიროა მათთან თამაშის მოწყობა, სიმღერის ჩატარება, კოლექტივის მაცადინობაზე მიწვევა, ექსკურსიების მოწყობის დროს შეუკავშირებელ ბავშთა თან წაყვანა და სხვა. ამ გზით შეიძლება დაინტერესდნენ ისინი და ჩაებან პიონერ-კოლექტივში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პიონერებმა, რომელნიც იცნობენ ბავშვებს და ახლოს დგანან მათთან, ხელი აიღონ შეუკავშირებელ ბავშვებზე ინდივიდუალური ზეგავლენის მოპოვებაზე. პირიქით, თითოეული პიონერი უნდა ცდილობდეს თავისი ამხანაგების ჩაბმას კოლექტივში. ეს არის პირველი ამოცანა. ამ ამოცანასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლაში მუშაობის გაძლიერება, ვინაიდან აქ უფრო მეტი ბავში იყრის თავს და სკოლაში უფრო ნათლად მოჩანს პიონერთა შემოქმედებითი მუშაობა, ხოლო პიონერთა ნამუშევარი კი დაურაზმელ ბავშთა შორის აგიტაციის გაწევის საუკეთესო საშუალებაა. რა ევალება პიონერს სკოლაში? პირველი— ის, რომ იგი უნდა იყოს

სწავლაში პირველი, დისციპლინის მქონე და მასწავლებლის აქტიური დახმარე. მეორე—ის, რომ პიონერები უნდა ეხმარებოდნენ სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვებს, აწყობდნენ ჯგუფურ მეცადინეობას მათთან. ეს ფაქტი გაზრდის პიონერების გავლენას როგორც შეუკავშირებელ მოწაფეებში, ისე მასწავლებლებშიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სკოლის მოწაფე-პიონერი უნდა იყოს პირველი იმათგანი, ვინც ზრუნავს მოწაფეთა დასვენების მოწყობაზე. პიონერები უნდა შეიქმნენ ინიციატორები მოწაფეთა დასვენების ორგანიზაციის (თამაშობის ჩატარება, ხატვა და სხვა), ექსპერიმენტების მოწყობის, წრეების ჩამოყალიბების და სხვა საქმეში, ეს კი ჯერ კიდევ მოიხსუსტებს.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც წამოაყენა პიონერთა კოლექტივების წინაშე მე-IX ყრილობამ, არის შრომისა და ტექნიკური ჩვევების და ცოდნის მიცემა პიონერებისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტივებში სხვადასხვა

ტექნიკური წრეების (რადიოსი, ავიაციის, ტობოგრაფიის, სიგნალიზაციის, ქიმიის) და ახელოსნობის მოწყობას (კალათების დაწვის, სკრა-კერვის, საღებავი და სხვა). სახელოსნოები ამ საქმეში, ცხადია, ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული მკოდნე ხალხი (პარტიულები, კომკავშირელები, მასწავლებლები, სამხედრო პირები) ხელმძღვანელობის გასაწვევად წრეებზე და აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირები, სკოლა, ადგილკომი, საბჭო) სახელოსნოების მოსაწყობად მცირე თანხების გასაღებად, აი ის, რაც კომკავშირის მე-IX ყრილობამ სთქვა პიონერთა მუშაობის ზოგიერთ მხარეზე.

შემდეგს ნომერში შევეცდებით მოკლედ გავუშუქოთ, რა სთქვა მე-IX ყრილობამ პიონერთა გასამხედროებისა, დასვენების მოწყობისა და სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობის შესახებ.

კ. ბ.

გაკუჭიოთ მფარველობა ფრინველებს.

გაზაფხული იწყება, და ჩიტებიც მხიარულად იწყებენ ხეებიდან ხეებზე ფრენას, ჟღერტულს და ჟივილს.

განსაკუთრებით დიდიდან საღამომდე მოუსვენრობას იჩენენ ბელურა ჩიტები და ამხიარულებენ ირგვლივ მიღამოებს. მაგრამ, როგორც საზოგადოდ ცნობილია, ბავშვები, მათ შორის პიონერებიც, ფრინველების მოუსვენარ მტრებად ითვლებიან. ამიტომ ისმება საკითხი, როგორ უნდა შევხვდეთ იმ ფრინველებს, რომლებიც დღითი-დღე იწყებენ ჩვენში დაბრუნებას.

ნუთუ მტრულად? ნუთუ ვხოცოთ ისინი უმიზნოდ ქვევით, ჯობებით? რასაკვირველია, არა! საჭიროა მათ კეთილი გულით შევხვდეთ, მფარველობა გავუწიოთ, რადგან ფრინველები ადამიანების მეგობრები არიან. თვით ისეო პატარა ჩიტსაც კი, როგორცაა თუგინდ ჩიორა, შეუძლია რამოდენიმე ათასი ვაშლის ან სხვა რომელიმე ხილის გადარჩენა მავნე მწერებისაგან. დაწყებული მერცხლებით და გათავებული ცელქი ბელურებით, ყველა ჩიტი, რომელთაც ჩვენ ვხედავთ ყოველდღე, ეხმარება ადამიანს მით, რომ სწმენდენ ბაღებს და ყანებს უაშრავი მავნე მწერისაგან და ამასთან ერთად ხელს უწყობენ ჩვენს ჯანმრთელობას და სხვა.

ყველა ამისთვის კი საჭიროა ჩვენც ვიფიქროთ მათ მზრუნველობაზე, დავიცვათ ისინი და კეთილი განწყობილებით შევეგებოთ.

მართალია, ქალაქში ფრინველები ცოტაა. ქალაქი მათთვის არ წარმოადგენს ისეთ ადგილს, სადაც შეიძლებოდა ბუდეების შენება და სხვა, მაგრამ სამაგიეროდ მის ახლომხლო ბაღებში და სოფლებში ბლომად ბინავდებიან. ამიტომ ჩვენი ვალია ვიზრუნოთ მათზე, გავხდეთ მათი პირველი და ახლომხლო მეგობრები.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევეშუალოთ ხელი მათ ბუდობისას, არ უნდა დაეუნჯროთ ბუდეები, არ უნდა დაეფხოცოთ ბარტყები. მაგრამ ფრინველების მეგობრობისათვის ესეც არაა მარტო საკმარისი, საჭიროა მათ მფარველობას მასიური ხასიათი ჰქონდეს, რაშიაც დიდი როლი პირველ ყოვლისა პიონერებმა უნდა ითამაშონ. მათ უნდა გასწიონ ყოველმხრივი პროპაგანდა ფრინველების დაცვამფარველობის შესახებ, შეაკავშირონ ახალგაზრდები—სკოლის მოწაფეები და სხვები—და ამით ხელი შეუწყონ ჩვენს საკუთარ მეურნეობას, ჩვენს ჯანმრთელობას მით, რომ მისცენ საშუალება ფრინველებს გამრავლებისა და ჩვენს ბაღებში, ბოსტნებში დამკვიდრებისა, რომ გასწმინდონ ისინი ყოველგვარი მავნე მწერებისგან და ამით გადაარჩინონ მოსავლის ნაწილი.

ამ თვის 18—25-მდე ჩატარდება საკავშირო „ფრინველების დღე“. საქართველოს პიონერებიც არ უნდა ჩამორჩენ დაწარჩენი პიონერების ორგანიზაციებს ფრინველების დაცვის საქმეში.

„ფრინველთა დღის“ წესიერად ჩასატარებლად საჭიროა ორგანიზაციებთან განსაკუთრებული კომისიების ჩამოყალიბება, რომლებიც შეუდგებიან ამ დღისთვის სამზადისს, წინასწარ შეიმუშავენ გეგმებს, თუ როგორ და სად ჩატარებენ ამ დღეს, რამდენი კაცი მიიღებს მონაწილეობას ამ დღის ჩატარებაში, სად უნდა დაიდგას პატარა სახლები ფრინველებისთვის და სხვ.

ყველა ამაში უნდა ჩაებან როგორც პიონერები, ისე სხვადასხვა სკოლები, რომ ფართო ხასიათი მიეცეს ამ საქმეს და ყველამ იცოდეს, რომ ფრინველები ჩვენი მეგობრებია. ზიანს ნუ მოვუტანთ მათ, გავხდეთ ფრინველების მეგობრები და მომზადებულად შევეგებოთ „ფრინველთა დღეს“.

ა. ასტაშევა.

ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები.

ესტონეთი.

ესტონეთი ფინეთის სამხრეთით მდებარეობს. ჩრდილოეთით მას საზღვრავს ფინეთის ჯუბე, აღმოსავლეთით—საბჭოთა კავშირის ლენინგრადისა და პსკოვის გუბერნიები, სამხრეთით—ლატვითი, დასავლეთით კი საზღვრავს ბალტიის ზღვა. ესტონეთს ეკუთვნის აგრეთვე მის მახლობლად მდებარე ორი პატარა კუნძული—ეხელი და დაგო.

ესტონეთში რბილი ჰავაა და კარგი ნიადაგი, ამიტომ აქაური მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას სასოფლო მეურნეობა შეადგენს. ესტონეთს ხუმრობით „კართოფლის რესპუბლიკას“ ეძახიან. მართლაც აქ აუარებელი კართოფლი მოჰყავთ.


ესტონეთი 1917 წლამდე შეადგენდა მეფის რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიას, რომელსაც ესტლიანდიის გუბერნიას ეძახდნენ. ესტონეთის სივრცის რაოდენობა 41 ათას კვად. კილომეტრამდე აღწევს. მხოლოდ მცხოვრებნი ორ მილიონამდე იქნება.

ესტონეთის მშრომელებმა 1917 წელს გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ 1918 წლის თებერვალში გერმანიელთა შეიარაღებული ძალების საშუალებით ესტონეთის ბურჟუაზიამ ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში და ქვეყნის მართველობას სათავეში მოექცა. გერმანიაში რევოლუცია რომ მოხდა, ამან გამოიწვია გერმანელი ჯარისკაცების გასვლა ესტონეთიდან. ამიტომ 1918 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლება კვლავ გამოცხადდა ქ. რეველში (ესტონეთის სატახტო ქალაქია). მაგრამ საბჭოები ესტონეთში მალე დამარცხდნენ, რისი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ესტონეთის და ფინეთის ბურჟუაზიის ძალები გაერთიანდნენ და ესტონეთში მოაწყვეს „დემოკრატიული რესპუბლიკა“, მუშების ხელმძღვანელები კი ციხეებში ჩააწყვდიეს.

ესტონეთის მშრომელებს ძვირად დაუჯდათ ბურჟუაზიის გაბატონება. კომუნისტები მშრომელ-

თა შორის ესტონეთში დიდი სიყვარულით სარგებლობენ. ამიტომ ხშირია ესტონეთში ბურჟუაზიული რეჟიმის საწინააღმდეგოდ ბრძოლა, მაგრამ კაპიტალისტები ყოველგვარი სიმკაცრით აქრობენ მუშათა მოძრაობას. 1922 წელს ქ. რეველში ესტონეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ სიკვდილით დასაჯა მუშათა კლასის ცნობილი ბელადი ამხ. კინგისები. კომუნისტური მოძრაობა ესტონეთში 1924

წლის დეკემბერში სისხლში ჩააღწვეს. პოლიტიკური და ეკონომიური მიზეზების გამო, სახალხო მეურნეობა ესტონეთში ამ ბოლო დროს ძალზე ცუდ პირობებში ჩავარდა. მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა თანდათან ეცემა. ესტონეთის ფულიც დაეცა. ესტონეთის ბურჟუაზიის ერთადერთი ხსნაა ისესხოს ფული საზღვარგარეთ. ამასწინათ ქ. რეველში ჩავიდა ლონდონის ბანკების წარმომადგენელი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ესტონეთის სახალხო მეურნეობა და ერთა ლიგამ მხოლოდ ამის შემდეგ გადასწყვიტა მიეცა ვითომც სესხი ესტონეთისათვის. ესტონეთის სახალხო მეურნეობის კონტროლიც ამის შემდეგ სავსებით ერთა ლიგის ხელში გადადის. ინგლისი ყველაზე უფრო ცდილობს ესტონეთის ხელში ჩაგდებას. ინგლისის სურვილია იძულებულ ჰყოს ესტონეთი თავზე დაეცეს საბჭოთა კავშირს.



პატარა ესტონეთიც ემზადება და სამხედრო ძალების გაძლიერებას მთავარ ყურადღებას აქცევს. ესტონეთს ჰყავს 15,000 კაცისაგან შეიარაღებული არმია. მოსახლეობის გასამხედროებას დიდი ყურადღება ექცევა. მოწაფეებს გარდა სამხედრო საქმეს სწავლობენ ქალებიც. ესტონეთის ჯარის შესანახად დიდი ფული იხარჯება. ჯარის შესანახავ ხარჯებს ესტონეთი უმთავრესად ინგლისის ბანკირებისაგან იღებს.



ჩვენი სწავლება და მუშაობა

მუშაობას ვაპლიერებთ

(ხილნადის მაზრა.)

ს. კარდნახის I კოლექტივი, — ფ. მახარაძის სახელობის, — დაარსებულია 1924 წელს. ამჟამად I კოლექტივში ირიცხება 145 პიონერი და ოქტომბრელი. კოლექტივის მეცადინეობა გვაქვს კვირაში ერთხელ, შაბათობით. საუბრების დროს იძლევიან მრავალ შეკითხვას. ყველა პიონერი იღებს მონაწილეობას გამართულ კამათში და სხვა. ჩვენი კოლექტივი მიმაგრებულია კარდნახის 7-წლიანი შრომის სკოლის ა. ლ. კ. კ. უჯრედზე, რომელიც შექმნილია გვარად გვეხმარება. ამ ბოლო ხანებში უფრო მეტ ყურადღებას გვაქცევენ. ამ მოწაფეთა უჯრედმა გადმოგვიგზავნა რამდენიმე კომკავშირელი, რომელნიც ჩაბმულნი არიან კოლექტივის მუშაობაში.

ნორჩმა პიონერებმა დააარსეს თვითური კედლის გაზეთი „პიონერთა სხივი“, რომელშიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ. პიონერთა გაზეთში იწერება როგორც ნაკლებ, ისე მიხვევებზე. აგრეთვე ჩამოყალიბებულია დრამწრე, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას პიონერები, ატარებენ დილებს და საღამოებს, რომლებსაც ესწრებიან როგორც პიონერები, ისე მათი მშობლები. კოლექტივი ხელმძღვანელი ცდილობს რაც შეიძლება მეტი რიცხვი მოწაფეების და სკოლის გარეშე მყოფი ბავშვები ჩააბას კოლექტივის მუშაობაში და მუშაობა უფრო მეტად გააცხოველოს.

შაჭრო მარტაშვილი.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა.

(ქუთაისი)

მე-2 ცხრაწლედში არსებობს სტალინის სახელობის I და მე-11 კოლექტივი. ორივე კოლექტივს ხელმძღვანელობს გაერთიანებული საბჭო, რომელიც აძლევს რგოლებს სამუშაო მასალებს, რაც გამოიხატება საუბრების ჩატარებაში, კონკრეტულ დავალებებში და ფიზიკურ ვარჯიშობაში. გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთი, სადაც იწერება მასალები კოლექტივის მდგომარეობაზე და რგოლების მუშაობაზე.

ორივე კოლექტივში ირიცხება 220 პიონერი. ამთვან ოქტომბრელია 86. ქალთა რიცხვი უდრის 110. სკოლის ადმინისტრაციასთან კოლექტივის კარგი კავშირი აქვს, აგრეთვე ჯართან, პარტიასთან და შეფთან. უშუალო ხელმძღვანელობას გვიწევს ადგილობრივი კომკავშირი.

ე. ქუთათელაძე

კოლექტივი გამოცოცხლდა.

(გორის მაზ.)

სოფელ ზანავის ნ. პ. კოლექტივის მუშაობა გასულ წელს საგრძნობლად მოისუსტებდა და კოლექტივი დაშლის ვხას ადგა, ამ ბოლო დროს კი ბორჯომის ნ. პ. რაიბიუროს დავალებით ნ. პ. ინსტრუქტორმა ყურაშვილმა ჩვენი კოლექტივის საქმიანობა ნორმალურ კალაპოტში ჩამოაყალიბა, დაშლილი კოლექტივი გამოცოცხლდა და შეუდგა ორგანიზაციულ მუშაობას. კოლექტივის მეცადინეობა

ყოველ კვირას მიმდინარეობს, სადაც ირჩევა შერჩეული და საინტერესო საკითხები. კომკავშირის ხელმძღვანელობაც ბოლო დროს გაძლიერდა და კომკავშირიდან გამოყოფილი პიონერ-კომისია სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევს. ჩვენი სურვილია შემდეგ უფრო გააღრმავოს კოლექტივმა მუშაობა.

პავლე ბლიაძე.

მ ა ლ ა რ ო შ ი.

ა. მალაროში.


ქვანახშირი დაუფასებელი რამ არის ადამიანი-სათვის: ის იძლევა სითბოს და სინათლეს. მრეწველობისთვის ის აუცილებელი რამ არის, მაგრამ მხოლოდ 100 წლის წინ გამოიყენეს იგი ამ მიზნით, თუმცა ბერძნები ძველადვე ხმარობდნენ ქვანახშირს თავის სამკედურებში. ქვანახშირს მიწაში პოულობენ და იქიდან ამოაქვთ. ყველაზე ბევრი ქვანახშირია ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ მიჰყვება ინგლისი, ბელგია, საფრანგეთი და გერმანია. საბჭოთა კავშირშიც ბლომად არის ქვანახშირი, უმთავრესად ე. წ. დონის აუზში, კერძოდ საქართველოში კი—ტყვიბულში და ტყვარჩელში.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ გაჩნდა მიწაში ქვანახშირი?

დედამიწაზე მუდამ ხდება ცვლილებები. ამჟამად ჩვენ ვიცით ერთი მცენარე, რომელსაც გვიმრას ვეძახით. ეს მცენარე პატარა და წვრილია, მაგრამ იყო დრო, როდესაც დედამიწაზე იზრდებოდა გვიმრის უზარმაზარი ხეები—სიმაღლით 24-28 მეტრი და ტანი კი ირგვლივ—1-1¹/₃ მეტრი. ჰვა მაშინ შეტად ნესტიანი და თბილი იყო, არ იყვნენ არც ფრინველები, არც მწერები და ქვეწარმავალნი. აი, სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ქვანახშირი და ამიტომ თვით ამ პერიოდსაც ქვანახშირის პერიოდი ღაარქვეს. უზარმაზარი ხეების—გვიმრების—ტყეები იყო იმ ხანაში. ხე მოტყდებოდა, მიწა დაეყრებოდა და დაიწყებდა გახრწნას. ქვანახშირი მცენარეული პროდუქტის გახრწნის ნაყოფს წარმოადგენს. მეცნიერებმა—გეოლოგებმა—იპოვეს ქვანახშირად ქცეული ხეები და მიკროსკოპით გასინჯვამაც დაამტკიცა, რომ ქვანახშირი გაქვავებული მცენარეა (გვიმრა). გეოლოგებმა გათხარეს მიწა და ბრეტანის ნაპირებზე, აგრეთვე შოტლანდიასა და შეერთებულ შტატებში მთელი გაქვავებული ტყეები აღმოაჩინეს. უმთავრესად ქვანახშირის ფენები ყოფილი ტბებისა და ჭაობების ძირებზეა. თითოეული ფენის სისქე 6 მეტრს არ აღემატება; ზოგჯერ ასეთი ფენა მიწის ზედაპირზეა, უფრო ხშირად კი მიწის სიღრმეში. მაშინ თხრიან მიწას, აკეთებენ ჭას, გვირაბებს და ისე ტყვენ ქვანახშირს. ჭას ში განყოფილება აქვს: 1) ქვანახშირის ამოსატანი, 2) მუშების ჩასაყვანი, 3) მესამე განყოფილებაში გადის უზარმაზარი ტუმბოს მილი, რომელიც ტუმბავს მალაროებში დავროვილ წყალს და აგრეთვე მილი, რომლითაც წმენდენ ჰაერს მალაროებში.

დედამიწაზე მრავალ ქვეყანაშია მალაროები და მრავალი მილიონი ადამიანი მუშაობს იქ. რას წარმოადგენს მალარო, როგორია იქ მუშაობის პირობები?—ეს საკითხები ფრიალ საინტერესოა.

მალაროს ჭის თავთან დგას მუშების ჯგუფი. ნაწილი ჩამჯდარა კალათში. წელზე თითოეულ მათგანს ფარანი ჰკიდია. ჭა ღრმაა და ბნელი. გვირაბებიდან წყალი წვეთავს, კალათი ძირს ეშვება. ყოველ 30 მეტრის შემდეგ სიცხე ერთი გრადუსით მატულობს. ჭა 1¹/₂ კილომ. სიღრმეზეა გათხრილი. ხანგამოშვებით გამოჩნდება გვერდის გვირაბები. ეს მთელი ქალაქია, მიწისქვეშა ქალაქი, სადაც სულ ადვილად დაკარგავს გზას ახალი ადამიანი: აქ არის დიდი და პატარა ქუჩები, ყრუ შესახვევები და არხები. ირგვლივ საშინელი მოძრაობა და ხმაურია: ნახშირით დატვირთული ჯაგები, ლიანდაგზე და-



ქვანახშირის სტენი.

დებული, მიემართება გვირაბიდან ჭისკენ, საიდანაც ცარიელი ჯაგები მოდის გვირაბში. ცხენები ჭიხვინებენ, ადამიანები ყვირიან, ხმაურობენ. ხან ჩაქუჩის რტყმევის ხმა ისმის, ხან მაგარი ჯიშების ნგრევის ხმა. ხმაურობა და მოძრაობა ღამითაც კი არ წყდება მალაროში. ბუზებს, ობობებს, ვირთავებსა და ღამურებსაც დაუბუდნიათ ამ ჯურღმულებში, მაგრამ ისინი ბრმები არიან და უფერულნი. დერეფნების ნაცრისფერ კედლებსა და ძელებზე არის ხავსი, სოკოები და ობი—ამ მიწისქვეშა ცხოველების საზრდო. სანამ მიღწევდეთ იმ ადგილამდე, სადაც ტყვენ ქვანახშირს, უნდა გაიაროთ ბევრი მიხვეულ-მოხვეული დერეფანი, ხშირად დაკუზულმა უნდა იაროთ, რომ თავი არ აჰკრათ ჭერს, ხან კი წყალში უნდა ტოპოთ. აი ქვისმტებლებიც. ერთი მათგანი ნახევრად ტიტველი დაწოლილა და ისე ტყვს წერაქვით ქვანახშირს, მეორე დაკუზული ამტვრევს. სულშემბუთავი ცხელი ჰაერია. ფარანი ოღნავ ბუტავს. მუშა ამტვრევს ქვანახშირს. ოფელი წურწურით ჩამოდის. აი, მოვიდა მეჯაგვე, ააგსო ჯაგვა და წაიღო ჭისკენ, რომ ზევით აიტანონ „შავი ალმასი“.

ბ. თალი ჩამოინება.

ეს მოხდა 1754 წელს. ქვანახშირის მტებელი ყირო ლიონში 1) მუშაობდა მალაროში თავის ამხანაგთან ერთად. უცბად მათი მალაროს თალი ჩამოწვა. უზარმაზარი ქვებითა და ქვანახშირის ნატყებებით აივსო იქაურობა. საბედნიეროდ, ჯერ და მისი ამხანაგი ცოცხალი გადაარჩენ: ჩამოტვრეული

1) ქალაქია საფრანგეთში.

ნაჭრები თაღივით შეიკრა მათ თავს ზეგვით. ჟირო და მისი ამხანაგი ცოცხლად იყვნენ დამარხული მიწის სიღრმეში. დაიწყეს ყვირილი, საშველად უხმობდნენ, მაგრამ არსაიდან არ ისმოდა არავითარი ხმაური. მალე ლამფებიც დაუქრათ და საშინელო სიბნელემ მოიცვა იქაურობა. სიმშობილი სტანჯავდა მათ, წყურვილით იხრჩობოდნენ, დრო კი მიდიოდა, დღეები დღეებს მისდევდა. ბოლოს, ხანგრძლივი ცდის შემდეგ, მათ გაიგონეს წერაქვის ხმა, შემდეგ კი მოესმათ: „ჟირო, ჟირო!“.

— „ცოცხლები ვართ, ცოცხლები! მოგვეშველეთ! — დაიკვირეს მათ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. — ჩვენ შევქამეთ ჩვენი ფეხსაცმელები და ქაბრები!“

გარეთ მუშაობა იყო გაჩაღებული, ცდილობდნენ გადაერჩინათ ამხანაგები, მაგრამ ძალიან ნელა მიდიოდა საქმე წინ. ჟიროს ამხანაგმა ვერ აიტანა შიმშილი და რამდენიმე დღის შემდეგ მოკვდა. დარჩა ჟირო მარტოდმარტო, მაგრამ იმედს არ ჰკარგავდა და უცდიდა, თუ როდის გაათავისუფლებდნენ ამხანაგები. წერაქვების ხმა თანდათან უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. მთელ თვეს გასტანა მუშაობამ. ჟირო გადარჩა, მაგრამ როდესაც მუშები მივარდნენ მასთან, ის ველარ იცნეს: მოჩვენებას დამსგავსებოდა.

გ. აფეთქება.

მემლაროელთა მთავარი სამუშაო იარაღი წერაქვია, მაგრამ ხანდახან ისინი ისეთ მავარ ფენას წააწყდებიან, რომ მარტო წერაქვით ვერაფერს გახედები. მაშინ იძულებული არიან თოფის წამლით ან ღინამიტით ააფეთქონ ეს ფენა. როგორც კი ზონარს ცეცხლს წაუკიდებს, მუშა უკან გამორბის, მაგრამ ხანდახან წამალი არ აფეთქდება; მუშა უცდის, უცდის და მერე მიდის ზონართან, რომ გაიგოს აუფეთქებლობის მიზეზი და სწორედ მაშინ გაისმის აფეთქების საშინელი ხმა, ხანდახან ხანძარიც გაჩნდება და სულ გაანადგურებს მლაროებს. უფრო ხშირად ხანძარს იწვევს მადნისაირის აფეთქება. ქვანახშირში ბევრი ნახშირბაზავა აირია. ეს აირი უფროდნება ჰაერში მყოფ წყალბადს და ამრიგად ჩნდება მადნის აირი, რომელიც ჰაერზე უფრო მსუბუქია და ამიტომ დერეფნების ზემო ნაწილში გროვდება. აქ ის უფროდნება ჰაერს და თუ ჩვეულებრივი ლამფით შევლენ ასეთ დერეფანში, ეს აირი საშინელი ძალით აფეთქდება, თალი ჩამოწვება და საშინელ უბედურებას დაატრიალებს. აქ გაისმის ზედიზედ რამდენიმე ათასი აფეთქების ხმა, კიბეები ინგრევა, თლის დამკერი ძელები იქცევა, კედლები ჩამოხვავდება, აფეთქება მუშებს აქეთ-იქით გადაისვრის, დაგლეჯს ნაკუწ-ნაკუწ, ან დაახრჩობს. ამ აირის აფეთქებას მოჰყვება ხანძარი ან წყლის მოვარდნა, დერეფნები მახრბელა აირებით ივსება და მუშები თითქმის ყველანი იღუპებიან. რომ გაიგონ, თუ რამდენი მუშა დაიღუპა, დაითვლიან, რამდენი ლამფა დარჩა მლაროში მუშების ჩაწვევის დროს. ორას მუშაში ათი თუ გულდარება ხოლმე! მე-XIX ს. დასაწყისში ინგლისელ-

მა ინჟინერმა დევიმ გამოიგონა ისეთი ლამფა, რომელიც იფარავს მუშებს მადნის აირის აფეთქებისაგან: ეს აირი შედის ამ ლამფის ცილინდრში და იქ აფეთქდება, გარეთ მხოლოდ კვამლი გამოდის, ალი კი ცილინდრის ბადეში რჩება.

დ. წყალი.

მლაროებში მომუშავეთა საშინელი მტერია აგრეთვე წყალი. ის მიწის ქვეშ ხშირად გროვდება და, თუ გზა იპოვნა, გაჟონავს და ხშირად უცბად შეიჭრება მლაროების დერეფნებში. ასეთი მოულოდნელი წყალდიდობა საშინელებაა მლაროში მომუშავეთათვის, რომელნიც ველარ ასწრებენ ამოსვლას და იხრჩობიან. განსაკუთრებით საშინელია, როდესაც მლაროს მახლობლად მყოფი მდინარე შეიჭრება დერეფნებში.

ე. ხანძარი.

საშინელია ხანძარი საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით საშინელია ის მიწისქვეშა ქალაქში — მლაროებში. 1895 წლის 30 მაისს ინგლისის ერთ-ერთ მლაროში გაჩნდა ხანძარი ლუმელის მეოხებით, რომელსაც ჰაერის გასაწმენდად ანთებდნენ. როგორც კი შეამჩნიეს ხანძრის გაჩენა, ჩაუშვეს ვალია და ოთხი საშინლად დამწვარი მუშა ამოიყვანეს, მეორედ კი სამი. ექიმმა შეამოწმა და სთქვა, რომ ისინი დასწვა არა თვითონ ცეცხლმა, არამედ საშინლად გახურებულმა ჰაერმა. მეორე დღეს შეიდივე გარდაიცვალა.

პირველად ეგონათ, რომ ყველა ამოიყვანეს, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ორი მუშა — შარპები — აკლდა. ჩაეშვენ ძირს, საშინელი ვაი-ვაგლახით დაიწყეს ძებნა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს ის ორი მუშა და ისევ ამოვიდნენ. შემდეგ ორჯერ კიდევ ჩაეშვენ და, ბოლოს, ერთ-ერთ დერეფანში იპოვეს ორივე მუშის გვამი. ისინი გამოქცეოდნენ საშინელ სიციხეს, კვამლს, სიბნელეში გადაჩვილიყვნენ ძირა სართულში და დამტვრეულიყვნენ. რამდენად დიდი იყო ეს ხანძარი ჩანს იქიდან, რომ ალი ჰაერში 60 ფუტის სიმაღლეზე აღიოდა.

საბჭოთა კავშირში მლაროში მომუშავენი ვაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ დილის 5^{1/2} საათიდან საღამომდე ფუსფუსობენ ისინი მიწის ქვეშ, ნახევარი კილომეტრის სიღრმეზე, თხუნელებივით დაძვრებიან ბნელ დერეფნებში, დაჩოქილი და დაწოლილი ამტვრევენ „შავ ალმასს“ — ქვანახშირს, რომელიც ამოძრავებს გემებს, ორთქლმავლებს, ფაბრიკა-ქარხნებს, რომელიც იძლევა სითბოსა და სინათლეს, ამტვრევენ ქვანახშირს, რომელსაც სიმდიდრე და ბედნიერება მოაქვს მლაროების პატრონებისთვის, მუშებისთვის კი — მხოლოდ ლუკმაპური და ძალღუერი ცხოვრება უმზეო, ბნელ მიწისქვეშეთში.

ასეღ მდგომარეობაში არიან დღეს კაპიტალისტური ქვეყნების მლაროს მუშები.

ჩვენში კი პროლეტარული სახელმწიფო ყოველნაირად ზრუნავს მლაროს მუშების ცხოვრების და მუშაობის პირობების გაუმჯობესებაზე.

შ. ტრიფონიძე.



როგორ უნდა ვიმუშაოთ?

მუშაობის ორგანიზაცია.

ჩვენი ჟურნალის მეოთხე ნომერში გავაშუქეთ, თუ როგორ მუშაობდნენ მარქსი, ენგელსი და ლენინი. ეხლა უნდა შევეხოთ, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ჩვენ.

ჯერ საჭიროა ვიცოდეთ— რა არის ჩვენი მიზანი და ამოცანა.

ჩვენ ვცხოვრობთ საერთაშორისო რევოლუციის ეპოქაში. ახალ თაობის მოვალეობას შეადგენს როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობა, ისე აქტიური დახმარების გაწევა უცხოეთის მუშებისათვის მათ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მომავალმა თაობამ უნდა შეისწავლოს მარქსიზმი და მისი განვითარება— ლენინიზმი; მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ეს მოძღვრება საქმედ აქციოს და ამნაირად პიონერები გახდნენ ღირსეული რევოლუციონერები და მარქსისტ-ლენინელები.

ჩვენ ფიზიკურადაც ძლიერი უნდა ვიყოთ, ამიტომ ფიზკულტურის დარგშიც უნდა ვიმუშაოთ. ჩვენ გვჭირდება არა მარტო ლენინურად დამუშავებული ტენი, არამედ ჯანმრთელი სხეული, მებრძოლის მაგარი ძარღვები და მუშის სწრაფი ხელი.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ და განვამტკიცოთ ჩვენი ნება და ხასიათი. ძლიერი ნებისყოფის და შეუპოვარი თავგანწირულების გარეშე არ შეიძლება მსოფლიო კომუნისტებისათვის ბრძოლა.

როგორ მივალწიოთ ამას, როგორ ვიმუშაოთ? აი ამას დაწვრილებით ვუპასუხოთ.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია ორგანიზაციულობის და წესრიგის დაცვა. ამის შესასრულებლად საჭიროა გვეგმიანი მუშაობა.

მუშაობაში გვეგმიანობის დასაცავად საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რას ვისახავთ მიზნად, რომელია მუდმივი საქმე, ცვალებადი, მთავარი და მეორეხარისხოვანი.

შემდეგ ეს მუშაობა უნდა დავყოთ შემადგენელ ნაწილებად; გამოვარკვიოთ, თუ რამდენი ენერჯია და დროა საჭირო მის შესასრულებლად.

დრო ისე უნდა გავანაწილოთ, რომ წინასწარ ვიცოდეთ: როდის, რომელ საათზე და რა ხნის განმავლობაში რა უნდა გავაკეთოთ და როდის როგორ დავისვენოთ.

მარტო ეს ჯერ კმარა; უნდა ვიცოდეთ, თუ როგორია ის პირობები და ადგილმდებარეობა, სადაც მუშაობა გვიხდება.

ჩვენს ყოფაში უნდა შეიქრას დროის ეკონომია (მომჭირნეობა). დრო ისეთი რამ არის, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავიბრუნებთ; ამიტომ დროს უნდა გავუფრთხილდეთ და ის საქმისათვის გამოვიყენოთ.

დღეს კი, ჩვენი ჩამორჩენილობის გამო, ძალიან დიდი დრო იკარგება უქმად. რომ ის საქმისთვის გამოგვეყენებია, შევძლებდით ახალი რკინისგზების, თვითმფრინავების, ქარხანა-ფაბრიკების აგებას და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მდგომარეობის უფრო გაუმჯობესებას.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად დავალბება სისწორით და თავის დროზე უნდა შევასრულოთ, მუშაობის დასაწყებად თავის დროზე მოვიდეთ, საქმე თავის დროზე დავასრულოთ.

თითოეული ჩვენთაგანი ყოველთვის უნდა უკვირდებოდეს, დრო ტყვილად ხომ არ იკარგება ან როდის რას აკეთებს.

ახალმა თაობამ ყველაფერი თავის დროზე უნდა გააკეთოს და სხვებსაც ასწავლოს დროს მომჭირნეობა.

საჭიროა აგრეთვე მომჭირნეობა იმ იარაღების და მატერიალურ საშუალებათა, რომლითაც ვიმუშაობთ.

საკუთარი ძალაც უნდა დავზოგოთ, საკუთარი ძალის მომჭირნეობა უნდა დავიცვათ. ამნაირად მცირე ხნის განმავლობაში მეტს გავაკეთებთ. ამისთვის ენერჯია სისტემატიურად უნდა ვხარჯოთ და არა ერთბაშად. უნდა ვიცოდეთ როგორც მუშაობა, ისე დასვენება. ჩვენ არ ვიცით დასვენება, ამიტომ ცუდად ვმუშაობთ.

მეცნიერება გვეუბნება, რომ უმჯობესია და აუცილებელი მცირე და ხშირი დასვენება, ვიდრე განუწყვეტელი მუშაობა და იშვიათი დასვენება დიდი ხნის განმავლობაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მუშაობა უნაყოფო იქნება და ადამიანის ჯანმრთელობა ნადგურდება.

მეცნიერებას უნდა დავუჯეროთ ისიც, რომ ადამიანისათვის აუცილებელია განსაზღვრული დროის განმავლობაში ძილი; მაგალითად, ბავშვებს სულ კმა 9—11 საათი.

ამერიკასა და ინგლისში, სადაც პართულიაობა (ინდუსტრია) ძალზე განვითარდა, გავლენას ახდენს ადამიანთა ცილენა იმაში გამოიხატება, რომ ერთსადაიმევე დროს იძინებენ,



ჩვენში, ჩამორჩენილობის გამო, ეს ძნელი შესასრულებელია, მაგრამ თანდათან უნდა მივალწიოთ, რომ განსაზღვრულ დროზე ვიძინებდეთ და ვიღვიძებდეთ. ეს აადვილებს მუშაობას.

მუშაობის დაწყების პირველ საათში ადამიანი მხოლოდ ეგუება სამუშაოს, მეორე საათი, ხანდახან მესამეც, უფრო ნაყოფიერია; ამის შემდეგ იწყება მუშაობის ნაყოფიერების შემცირება. საუზმის შემდეგ ადამიანი უფრო გამაგრებულია და ძალია განახლებული აქვს, ამიტომ უკეთ მუშაობს, ვიდრე საუზმემდე, მაგრამ შემდეგ ნაყოფიერება ისევ მცირდება.

ეს დაკვირვება იმას გვეუბნება, რომ ძნელი და რთული საქმე პირველად უნდა შევასრულოთ, ხოლო უფრო ადვილი სამუშაო საათის დასასრულს.

ეს ერთნაირად ეხება როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ მუშაობას; აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანი გონებრივი მუშაობის დროს უფრო მალე იღლება.

სამუშაო გეგმა ოცნებაზე არ უნდა იყოს აგებული, არამედ უნდა გავითვალისწინოთ ის პირობები, რომელშიც ვიმყოფებით. და ცხოვრების სინამდვილეს დავემყაროთ, რომ დასახული ამოცანა კარგად და საფუძვლიანად დავძლიოთ.

ისე გავარჯიშებული უნდა ვიყოთ, რომ მუშაობა თანდათანობით გავშალოთ და გავაღრმავოთ ახალი ამოცანების და მიზნის დასახვით.

ყოველგვარი სამუშაოს შესრულების შემდეგ **აღრიცხვა და კანტროლი** უნდა ვაწარმოოთ. უნდა გამოვარკვიოთ: რა გავაკეთეთ, რა ცვლილება უნდა შევიტანოთ გეგმაში, რატომ მთლიანად ვერ შევასრულეთ გეგმა, რას უნდა მიექცეს ყურადღება.

ვერაფერს გავხდებით, თუ სიმკვირცხლე და გამჭირიანობა არ გვახსიათებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულს მაშინ შევასრულებთ, როდესაც თითოეულ პიონერს და ბავშვს **პასუხისმგებლობის გრძნობა** ექნება; მათ ეცოდინებათ, რომ საზოგადოების სასარგებლო წევრი და საქმიანი ადამიანი უნდა იყონ და ძვირფასი დრო ტყველად არ დაჰკარგონ.

რა გვეჭირდება კიდევ? საქმიან ადამიანს უნდა ჰქონდეს ჩასაწერი წიგნაკი (კალენდარი) და სტატისტიკური ფანქარი (სასურველია). ეს წვრილმა იქით გვეხმარება, რომ ერთგვარი წესრიგი და დისციპლინა წყლის მოწოდებაში.

ივსება და მუშაობს, რომ ვაგონი, ლიან, რამდენიმე შებენ ჩაწერის დრო დარჩება ხოლმე! მე-

წიგნაკი სამ განყოფილებად უნდა დაგვყოთ. ერთში — უნდა ჩაიწეროს, თუ რა უნდა გავაკეთდეს დღეს და ხვალ. მეორეში — წასაკითხავი წიგნების სია და მიმდინარე საქმეები. მესამეში — ის, რაც დიდი ხნის განმავლობაში უნდა დავიმახსოვროთ. აქვე შეიძლება მისამართების და სხვა ამგვარი ცნობების ჩაწერა, ან სამისამართო წიგნაკი ცალკე ვიქონიოთ.

ასევე წესრიგში უნდა იყოს საწერი მაგიდა, პირსაბანი, საწოლი, ოთახი, წიგნები და სხვა, — რომ მუშაობა არ გაგვიძნელებდეს და დიდი დრო არ დაიკარგოს.

აუცილებელია სისუფთავე როგორც ოთახში, ისე ტანსაცმელის. **სისუფთავის** დამცველი ადამიანი ჯანმრთელია და მეტ საქმეს გააკეთებს.

ამასთანავე აუცილებელია ნორმალური **კვება**. ადამიანის ორგანიზმი მუშაობის დროს განსაზღვრულ ნივთიერებას ყოველთვის ხარჯავს, ამიტომ მას ახალი მასალა, საკვები უნდა მივაწოდოთ.

როგორც თითოეულმა პიონერმა, ისე პიონერ-კოლექტივმა, თითოეულმა ბავშვმა ცალკე და ჯგუფში მთლიანად უნდა იქონიოს სამუშაო გეგმა და იცოდეს, როდის რა უნდა აკეთოს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მუშაობის გაუმჯობესება, გაძლიერება და ნაყოფიერება.

ორგანიზაციულობის დაცვით ახალი თაობა, კერძოდ პიონერები, საუკეთესო **მაგალითის** მაჩვენებელი იქნებიან სხვებისათვის.

აქვე დავძინოთ იმის შესახებ, რომ ასეთი წესების დაცვა ახლა უფრო გასატარებელია, ვიდრე ეს სამოქალაქო ომის დროს იყო, ან მომავალში — როდესაც ბრძოლა მოგვიხდება უცხოეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საბჭოთა სახელმწიფოს შიგნით არ სძინავთ ყოფილ თავად-აზნაურებს, ბოხოლებს, მდიდრებს, მენშევიკებს, რომელნიც ფარულად და აშკარად ყოველთვის მუშების და გლეხების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ახლაც კბილებს ილესავენ.

ომის დროს, ცხადია, მით უფრო აუცილებელია გეგმა, წესრიგი, დისციპლინა, მაგრამ მაშინ ყოველი პირადი ინტერესი მუშათა საერთო საქმეს დაუმორჩილებდა, მაშინ ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ სასურველ დასვენებაზე. როცა მტერი ჩვენს წინააღმდეგ ხმალამოღებულა, ჩვენ **თავგანწირულად** უნდა შევებრძოლოთ, რომ ის დავამარცხოთ, ხოლო დასვენება-ძილზე და გართობებზე ნაკლებად უნდა ვიფიქროთ.

ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.



ცვალებადი კონდენსატორი (მკვირვარი)

მე ვთქვი, რომ კარგი შედეგების მისაღებად თქვენი მიმღები უნდა იყოს სრული სიზუსტით მომართული იმ სიგარდის ტალღაზე, რომლითაც იცემა მოსალოდნელი ცნობები ან გასართობები. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მოგიხდესათ მეტად გულმოდგინედ მოახელოვნოთ თქვენი კოჭა ცვალებადი თვითინდუქციისა, და თქვენ უნდა მოახერხოთ მეტად ღწურად მოძებნოთ მოქმედებისათვის თქვენ კოჭაზე დასახვევი, საჭირო სიგარდის მავთული. ამის განხორციელება შეტად ძნელია და მომართვის სიზუსტის მიღწევა ჩვეულებრივ ხდება დამატებითი ხელსაწყოს საშუალებით, რომელიც ცნობილია „ცვალებადი კონდენსატორის“ (მკვირვარის) სახელწოდებით.

ელვისური კონდენსატორის (მკვირვარის) უბრალო საწყობა შესდგება თითქმის ერთიმეორეზე მკვიდრად დადებულ, მაგრამ ურთიერთისაგან ჰაერის ფენით ან სხვა რაიმე განმხოლოებელი ნივთიერების მიერ განმხოლოებული ლითონის ორი ფირფიტისაგან. მაგალითად, თუ ავიღებთ ორ თუნუქის სახურავს და მივუახლოვებთ იმათ ერთმანეთს თითქმის მკვიდრად, მაგრამ ისე, რომ ნამდვილად ერთიმეორეს არ ეხებოდნენ, მაშინ ისინი შეადგენენ მეტად ტლანქი სახის კონდენსატორს (მკვირვარს), ხოლო თუ თითოეულ ამ სახურავთაგანს მივამაგრებთ ან მივაკავშირებთ ცალკე გამტარზე, ისინი შესაძლებელია მაინც გამოყენებულ იქნან კონდენსატორის სახით.

კონდენსატორის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ელექტრონის მარაგის დაგროვება და ამ მხრივ ის შეიძლება შევადაროთ წყლის მომმარაგებელ კურკელს. სწორედ იმგვარადვე, როგორც ჩვენ ვლაპარაკობთ კურკელზე, რომ მისი ტეობა უდრის ამდენ და ამდენ ლიტრს, ამგვარადვე ვამბობთ კონდენსატორზედაც, რომ იმას აქვს ამდენი და ამდენი ტეობა; ეს ტეობა ჩვეულებრივ გაიზომება „მიკროფარადებად“ წოდებული ერთეულებით, ანუ, ჩვეულებრივ, შემოკლებით „mf.“. რაც უფრო ერთიმეორის ახლოს იქნებიან კონდენსატორის ლითონის ფირფიტები, მით უფრო მეტი იქნება მათი ტეობა. სწორედ ამგვარადვე, რაც უფრო დიდი იქნება ზედაპირი ამ ფირფიტებისა, მით უფრო მეტი იქნება კონდენსატორის ტეობაც.

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ცვალებადი კონდენსატორი, ე. ი. მქონე ცვალებადი ტეობისა, თუ მოვაწყობთ ლითონის ფირფიტათა შორის მანძილის შესაცვლელ მომარჯვებულებას. რაც უფრო შორს იქნებიან ისინი ერთმანეთისაგან, მით უფრო ნაკლები იქნება მათი ტეობა. მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ყველა ამას რადიომომართვისათვის? ცვალებადი კონდენსატორი წარმოადგენს თითქმის ყველა მიმღები რადიო-სადგურის მეტად საყურადღებო ნაწილს; მისი მოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ გვშველის შევცვალოთ ჩვენი ჯაჭვების მომართვა

სხვადასხვა სიგარდის ტალღებთან მუშაობის მიხედვით. პრაქტიკაში ის არ მზადდება, რასაკვირველია, თუნუქის სახურავებისაგან; ეს ბევრად უფრო რთული ხელსაწყოა, რომელსაც აქვს სახელური და მოძრავი შკალა (კიბე). მასზე არის ორი მომქერი; ერთი გვემსახურება შესაერთებლად კონდენსატორის ერთი შემონავისა და მეორე კი მეორე შემონავისა. თავის ან სახელურის მობრუნებით ჩვენ შეგვიძლია მივცეთ კონდენსატორის ტეობას დიდი ან მცირე ზომა და შეგვიძლია მივიღოთ ყოველგვარი საშუალო ტეობა, რომელიც დაგვჭირდება.

თუ ჩვენ შევეუბრებთ კონდენსატორის პოლიუსებს ჩვენი კოჭის ხვევებს, მივიღებთ შესაძლებლობას მოვმართოთ ჯაჭვი ტალღების საგრძნობლად მეტ სიგრძეზე. თუ ცვალებადი კონდენსატორის სახელური მობრუნებულია ისე, რომ მისი ტეობა ნულს უდრის, მაშინ მისი კოჭასთან შეერთებით არავითარი მოქმედება არ მიიღება, და ტალღების სიგრძე რჩება უცვლელად, ხოლო კონდენსატორის სახელურის მობრუნებით, ვთქვათ, წრის მეოთხედზე, ჩვენ თანდათან მოვმართავთ ჩვენ, ჯაჭვს უფრო და უფრო დიდი სიგრძის ტალღებზე.

თქვენ ხედავთ, რომ ცვალებადი კონდენსატორის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მოვმართოთ ჩვენი მიმღები ჯაჭვი სათანადოდ სრულიად სხვადასხვა სიგრძის ტალღებზე და შეგვიძლია დიდის სინამდვილით მოვაწყოთ ჩვენი რადიო-მიმღებები სასურველი სიგრძის ტალღების მისაღებად. ჩვენს განკარგულებაში რომ ყოფილიყო მართო თვითინდუქციის კოჭა, მაშინ ჩვენ შეგვიძლებოდა მომართვა სხვადასხვა სიგრძის ტალღებზე მხოლოდ დაახლოვებით, ხოლო ცვალებადი კონდენსატორის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მოვმართოთ სრულიად ზუსტად.

ზოგჯერ ცვალებად კონდენსატორს აერთებენ ანტენის შემყვანსა და თვითინდუქციის კოჭის ერთ ბოლოს შორის. კონდენსატორის ამგვარი მდგომარეობის დროს ტალღების სიგრძე, რომელზედაც მომართულია ანტენის ჯაჭვი, მცირდება. ჩვენ მივიღებთ სწორედ იმგვარსავე შედეგს, როგორსაც იმ შემთხვევაში, როცა ვხმარობთ კოჭის ხვევათა ნაკლებ რიცხვს. მაგრამ ამგვარი მდგომარეობის დროსაც კონდენსატორი გვაძლევს საშუალებას სახე შევუცვალოთ ანტენის ჯაჭვის მომართვის დიდი სი სწორით: რაც მეტი იქნება მისი ტეობა, მით მეტი ნება ტალღების სიგრძე, რომლებზეც მომართულია ჯაჭვი.


საერთოდ რომ ვთქვათ, თვით ჩვენ ვსარგებლობთ დაახლოვებით ლების სიგრძეზე, შემდეგ კი კონდენსატორს მომართვის სრულწევად.






შამათი ეტლით. ეტლით შამათიც ისევე ადვილია, როგორც ლაზიერით, ოღონდ აქ უფრო მეტი სვლაა საჭირო, რადგანაც ეტლი ლაზიერზე სუსტი ფიგურაა. თუ ლაზიერს თავის მეფის დაუხმარებლად არ შეუძლია მეფის დაშამათება, მით უმეტეს ეტლს არ შეეძლება ეს. ავიღოთ სუსტი მხარისათვის საუკეთესო პოზიცია. მეფის დატყვევებას ასეთ მდგომარეობაში დასჭირდება 15 — 16 სვლა.

- | | |
|--------------|-----------|
| 1. მ a 1—b 2 | მ d 5—d 4 |
| 2. მ b 2—c 2 | მ d 4—e 4 |
| 3. მ c 2—c 3 | მ e 4—e 5 |
| 4. მ c 3—c 4 | მ e 5—e 4 |



ამ ოთხ სვლაში ბრძოლის ხასიათი სავსებით ნათლად ჩანს. თეთრი მეფე თანდათან უახლოვდება შავს და ცდილობს განაპირა რიგებისკენ განდევნოს. მაგრამ შავი მეფე ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს და ცენტრის ვერტიკალებს (d და e) არა შორდება, რადგანაც იცის, რომ h-ს ვერტ.



და შავი მეფე იძულებულია მოსცილდეს ცენტრის ვერტიკალს და გადავიდეს.

5. მ e 4—f 5

ეტლმა თავისი საქმე გააკეთა, გაამაგრა ეს ხაზი და შეტევა კვლავ მეფეს დაუთმო, მეფე კი თითო ნაბიჯით ახლოს მანძილზე უჯდება თავის მოპირდაპირეს და სივრცის წუთებს ართმევს.

- | | |
|-----------------|-----------|
| და 6. მ c 4—d 4 | მ f 5—f 4 |
| 7. მ d 4—e 4 | მ f 4—g 5 |

და 6. მ c 4—d 4 მ f 5—f 4

8. მ e 5—e 4 მ g 5—g 6

აქ თეთრებს პატარა სიფრთხილე ჰპართებთ. მეფე რომ დასვან f4-ზე, მაშინ შავი მეფე ისარგებლებს შემთხვევით, რომ თეთრი მეფე ეტლს ამოეფარა და უმოლო გადმოვა f-ის ვერტიკალზე (f6); ამიტომ თეთრი მეფე იგივე სვლა უნდა იყოს

- | | |
|---------------|-----------|
| 9. მ e 4—e 5 | მ g 6—g 5 |
| 10. ე f 1—g 1 | მ g 5—g 4 |

შავი მეფე იძულებული ხდება უკანასკნელ რიგში დასვა მეფე პიონერი.

- | | |
|----------------|-----------|
| 11. მ e 5—f 5. | მ g 4—g 3 |
|----------------|-----------|

შავი მეფე რომ ახლა ოპოზიციაში დადგეს მეფის და ლის შემდეგი სვლით შამათი გაუკეთდება.

- | | |
|-----------------------|-------------|
| 11. მ h 6—h 5 | |
| 12. მ f 5—f 6 | მ h 7—h 8 |
| 13. მ f 6—f 7 | მ |

ახლა შავ მეფეს მხოლოდ ერთი უჯრალა დარჩა, ისიც შამათიანი.


- | | |
|---------------------|---|
| 13. h 8—h 7 | |
| 14. ე g 1—h 1 | × |

მეათე სვლის შემდეგ თამაში შეიძლება კოტა სხვა-ნაირად განვითარებულიყო.

- | | |
|-----------------------|-----------|
| 10. მ g 5—h 4 | |
| 11. მ e 5—f 5 | მ h 4—h 3 |
| 12. მ f 5—f 4 | მ h 3—h 2 |
| 13. ე g 1—g 3 | მ h 2—h 1 |
| 14. მ f 4—f 3 | მ h 1—h 2 |
| 15. მ f 3—f 2 | მ h 2—h 1 |
| 16. ე g 3—h 3 | × |

შამათი ორი

ეტლით. ორი ეტლით შამათი გაცილებით უფრო ადვილია და ნაკლებ სვლასაც მოითხოვს. აქ მეფის დახმარება საჭირო არც კია (იხ. დიაგრ. № 1). თეთრები ცდილობენ მეფე განაპირა რიგზე გაიტყუონ.



1. ე h 1—h 4

ამათ მეფის წინსვლას აჩერებენ და საშვალეობას არ აძლე-
ვენ მეოთხე ჰორიზონტალზე გადმოვიდეს

1. მ e5—d5
2. ე g1—a1 მ d5—e5
3. ე a1—a5+ მ e5—e6
4. ე h4—h6+ მ e6—f7
5. ე a5—a7+ მ f7—g8
6. ე h6—b6 მ g8 ან f8 ან h8
7. ე b6—b8X

შამათი ორი კუთი. ცოტა უფრო ძნელია შამათი
ორი კუთი. აქ მეფის დახმარება აუცილებლად საჭიროა.



ცნობები
მოგიხდება
კოჭა ცვალებ
ხერხობა მეტად
კოჭაზე დასახ
ხორციელება ხერხობა
მიღწევა ჩვენ
შუალეობით, მ d5X. მაშასადამე, რანაირი მდგომარე-
ტორის* (მკვრელს დაფაზე, ძლიერი მხარე უნდა სცილ-
ელვისურ მდგომარეობა შეჭმნას, რის შემდეგაც
შამათი შესდგაილია.

ავილოთ სუსტი მხარისათვის ყველაზე ხელსაყრელი
მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 3), ასეთ მდგომარეობაში
შამათისათვის 17—19 სვლაა საჭირო.

1. კ g4—d1 მ f4—e3
2. მ a1—b2 მ e3—d2
3. კ d1—c2 მ d2—e3

ლოგორც ვნახეთ, შავი მეფე იერიშით მიდიოდა კუზე და
ანიტ აიძულებდა თეთრებს თავდაცვის მიზნით რამდენი-
მე ზედმეტი სვლა გაეკეთებინათ. თეთრებმა ვაამაგრეს
დენილი კუ და ახლა ისევ მეფეს აამუშავებენ

4. მ b2—c3 მ e3—f3
5. მ c3—d4 მ f3—g4
6. კ h4—e1 მ g4—f3
7. კ c2—d3 მ f3—f4
8. კ d3—e4 მ f4—g5
9. მ d4—e5 მ g5—g4
10. კ e1—f1
11.

შავი მეფე ძალიან
უჯობა—ლა აქვს: h5
11.
12. მ e5—f5
13. კ f5—h3
14. კ h3—g4


მეფეს ახლა მხოლოდ ერთი უ
ნაესული.

15. მ f6—f7 მ h7—h6
16. კ f2—e3 მ h6—h7
17. კ g4—f5+ მ h7—h8
28. კ e3—d4X

ავილოთ მეორე ვარიანტი (იხ. დიაგრ. № 4).

1. მ a1—b2 მ e5—d5
2. კ c1—d2 მ d5—d4
3. მ b2—b3 მ d4—e5
4. მ b3—c4 მ e5—f6
5. მ c4—d5 მ f6—e7
6. კ d2—c3 მ e7—d7
7. კ b1—a2 მ d7—e7
8. მ d5—c6.

შავი მეფე ახლა
უკვე შესულდულია: მას
არ შეუძლია a2—g8
და a1—h8 დიაგონა-
ლებზე გადმოვიდეს, ეი-
ნაიდან ამ გზებს ორი
კუ დარაჯობს, ამავე
ღროს თეთრი მეფე ორ
უჯრას იცავს, ასე რომ
შავი მეფე იძულებული
ხდება უკანასკნელ ჰო-
რიზონტალზე გადავი-
დეს და ისიც მხოლოდ
სამში ერთ-ერთ უჯრა-
ზე (d8, e8, f8)



დიაგრამა 4.

8. მ e7—e8?
9. კ c3—b4!

შავ მეფეს ერთი სავალი გზაა აქვს
9. მ e8—d8
10. კ a2—f7 მ d8—c8
11. კ b4—a5 მ c8—b8
12. კ f7—e6 მ b8—a7
13. მ c6—b5 მ a7—b8
14. მ b5—a6 მ b8—a8
თეთრებს კუა მართებს: რომ ითამაშონ კუ a5—c7, თა-
მაში უშედეგოდ დამთავრდება, ვინაიდან მეფეს ქიშის
გამოუცხადებელი სავალი გზა არ ექნება, ამიტომ საჭი-
როა მიმპარავი სვლა:

15. კ a5—b4 მ a8—b8
16. კ b4—d6+ მ d8—a8
17. კ e6—d5X

დავუბრუნდეთ მეორე სვლას და შავი მეფე იყოს
e8-ის მაგივრად f8-ზე, მაშინ თამაში ასე განვითარდება:

8. მ e7—f8
9. მ d7—ზე დაესვათ, ფათა გამოვა;
- მ f8—e8
- d8

გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშინაო დასუსათიასული ქურნალი

პიონერი

მ. წ. დილთათვის

წელიწადი III

ქურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების უოფელი წევრის, ორგანიზაციის უოფელი კოლექტივის, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

კილდეს ცენტრის ვერ-

მიხაგარა... მე 4 — f 5

თავისი საქმე გააქეთა, გაამაგრა ეს ხაზი და ვ მეფეს დაუთმო, მეფე კი თითო ნაბიჯით ქილზე უჯდება თავის მოპირდაპირეს და სი უთებს ართმევს.

მ. მ. 4 — d 4 მ f 5 — f 4
ამდენს — f 1 + მ f 4 — g 5

ხალკა ნოგარი — 3 კაპ.

ღირს გამოწერი, № 22, სკვბში (მეორე) და „ნაპადული“ ქდაქცია.

რედაქტორი — სარკაქიო კოლაგია.